

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №5  
პერიოდი: ივლისი - დეკემბერი, 2013  
აპრილი, 2014  
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWWMI).



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

ანგარიში №5

(ივლისი-დეკემბერი, 2013)

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



**USAID**  
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო



**EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE**

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორები: **თინათინ ავალიანი**  
**ეკა ხუციშვილი**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ გვარამაძე**

მონიტორინგის და კვლევის მარიამ ნიკოლაშვილი  
მომზადების პროცესში ვლადიმერ ბაქიშვილი  
მონაწილეობა მიიღეს საიას ანა სიგუა  
მონიტორებმა: **ლევან ვეფხვაძე**  
**მარიამ მელაძე**



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

## შ ი ნ ა ა რ ს ი

პროცესების მონიტორინგისას გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები .....	5
პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები) .....	5
წინასასამართლო სხდომები .....	7
საპროცესო შეთანხმების სხდომები .....	7
დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები .....	8
შესავალი .....	10
მეთოდოლოგია .....	11
ანგარიშის სტრუქტურა .....	13
ა. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით .....	13
I. პირველი წარდგენის სხდომები .....	13
1.1. ზოგადი ტენდენციები .....	15
1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები .....	17
1.2.1. გირაო .....	17
1.2.2. პატიმრობა .....	25
1.2.3. პირადი თავდებობა .....	28
1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ .....	29
1.2.5. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა .....	30
1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება .....	30
II. წინასასამართლო სხდომები .....	31

III. საპროცესო შეთანხმების სხდომები .....	35
ბ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლების მიხედვით .....	39
I. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი .....	39
II. დაცვის უფლება .....	45
III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა .....	50
IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტის უფლება ....	55
V. საჯარო განხილვის უფლება .....	56
VI. თარჯიმნის ყოლის უფლება .....	60
გ. პროცესის მონაწილეთა ქცევა სასამართლო სხდომაზე .....	61
დ. სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა .....	69
დასკვნა .....	70
რეკომენდაციები .....	72
დანართები .....	75

## პროცესების მონიტორინგისას გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები (ივლისი-დეკემბერი, 2013)

### პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები)

- მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით (იანვარი-ივნისი, 2013):
  - 41%-დან 55%-მდე მოიმატა იმ ბრალდებულთა რაოდენობამ, რომელთა მიმართაც პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.
  - 30%-დან 42%-მდე მოიმატა იმ ბრალდებულთა რაოდენობამ, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.
  - 69%-დან 55%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.
- მონიტორინგის განხორციელების დაწყებიდან (2011 წლის ოქტომბერი) უკვე მეორედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ბრალდებულს საერთოდ არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება. საგულისხმოა, რომ წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, სადაც საქმე შეეხებოდა მაღალი თანამდებობის პირს,<sup>1</sup> ამჯერად სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა ბრალდებული, რომელსაც არ გააჩნდა მაღალი თანამდებობის პირის სტატუსი. საია ამ შემთხვევას დადებითად აფასებს და იმედს იტოვებს, რომ მომავალში სასამართლოები უფრო ხშირად დატოვებენ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების გარეშე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მისი გამოყენება აუცილებელი არ იქნება.
- წინა მონიტორინგის პერიოდების მსგავსად, სასამართლო თითქმის ყოველთვის იყენებდა მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას: პატიმრობას და გირაოს. ამასთან, დაფიქსირდა მხოლოდ სამი გამონაკლისი: 1 შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს შეეფარდა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ; მე-2 შემთხვევა, როდესაც პირს პირადი თავდებობა შეეფარდა და მე-3 შემ-

<sup>1</sup> გიორგი უგულავა — თბილისის იმჟამინდელი მერი.

თხვევა, როდესაც ბრალდებულს საერთოდ არ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება.

- წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, სასამართლომ უფრო ხშირად დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება როგორც პატიმრობის (87%), ისე გირაოს (84%) შეფარდების შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება პატიმრობის გამოყენებისას 81%-ში, ხოლო გირაოს შეფარდებისას 51%-ში დაასაბუთა.
- წინა საანგარიშო პერიოდიდან მოყოლებული, გრძელდება ტენდენცია, რომ სასამართლო ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობებს და აღკვეთის ღონისძიებას უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებს ბრალდებულს:
  - შემთხვევების 21%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ შეუფარდა გირაო.
  - შემთხვევების 71%-ში სასამართლომ იმაზე ნაკლები ოდენობის გირაო შეუფარდა, ვიდრე პროკურატურამ მოითხოვა.
  - ერთ საქმეში, სადაც პროკურატურამ მოითხოვა პატიმრობა, მოსამართლემ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.
  - 2 საქმეში, სადაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, მოსამართლემ ერთ ბრალდებულს შეუფარდა პირადი თავდებობა, ხოლო მეორეს – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება პირველი წარდგენის სხდომათა საქმეებზე. თუმცა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მისაღებში მანდატურები კვლავ ვერბალურად აცხადებდნენ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> ამის საპირისპიროდ, პირველი წარდგენის სხდომების გამოკლებით, სასამართლოს წინასწარ არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია სხვა სხდომების 22%-ის შემთხვევაში.

## წინასასამართლო სხდომები

- მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ საქმე არ გადასცა არსებითად განსახილველად და სისხლისსამართლებრივი დევნა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა. საია ამას დადებითად აფასებს და იმედოვნებს, რომ მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლეები უფრო ხშირად შეწყვეტენ დევნას წინასასამართლო განხილვის ეტაპზე.
- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სასამართლოები, როგორც ჩანს, ისევ შემოიფარგლებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებით მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. რაც შეეხება დაცვის მხარეს, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ის უფრო გააქტიურებული ჩანდა. ამ საანგარიშო პერიოდში დაცვამ 39 არაგახმაურებული საქმიდან 14 შემთხვევაში (36%) დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში მსგავსი შემთხვევები მხოლოდ საქმეთა 14%-ში დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, დაცვა ბევრად აქტიური იყო გახმაურებულ საქმეებში და შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ დააყენა გახმაურებულ საქმეთა 100%-ში (9-დან 9 საქმეში).

## საპროცესო შეთანხმების სხდომები

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, მოსამართლეები იყვნენ პასიურები საპროცესო შეთანხმების განხილვებისას და, პრაქტიკულად, ავტომატურად ამტკიცებდნენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. საია მიიჩნევს, რომ მოსამართლეები ბევრად აქტიურები უნდა იყვნენ საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში.
- მონიტორინგის ბოლო 2 პერიოდში შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა, სადაც ბრალდებულებს ჯარიმა შეეფარდათ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა, საბოლოოდ, 49% შეადგინა. 28%-ით შემცირდა შეფარდებული ჯარიმის საშუალო ოდენობაც. საგულისხმოა, რომ წინა საანგარიშო



პერიოდში ასევე დაფიქსირდა შეფარდებული ჯარიმების საშუალო ოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება.

- საპროცესო შეთანხმებისას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, 7%-ს შეადგენს. წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 1%-დან 7%-მდე გაიზარდა.

### **დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები**

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, გახმაურებული საქმეების გამოკლებით, სადაც დაცვა ძალიან აქტიური იყო, ჩვეულებრივ საქმეებში დაცვა კვლავ პასიურობით გამოირჩეოდა ბრალდებასთან შედარებით.
- დასრულებული 81 საქმიდან (68 – საპროცესო შეთანხმება და 13 – არსებითი განხილვა) ბრალდებული მხოლოდ 3 შემთხვევაში გამართლდა (სამიდან 2 საქმე<sup>3</sup> გახმაურებული იყო). წინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მხოლოდ 1 გამამართლებელი განაჩენი. ეს იყო პირველი გამამართლებელი განაჩენი, რომელიც საიამ მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი) მოყოლებული დააფიქსირა.
- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, მოსამართლეები ბრალდებულებს, სხვა უფლებებთან შედარებით, ბევრად უკეთესად განუმარტავდნენ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს.
- ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების დაკანონების კუთხით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ვითარება არ შეცვლილა. მონიტორინგის განმავლობაში დაფიქსირებული ჩხრეკისა და ამოღების შესახებ წარმოდგენილი 38 შუამდგომლობიდან, მხოლოდ ორ შემთხვევაში გასცა სასამართლომ წინასწარი ნებართვა ჩხრეკის ჩატარებაზე. დანარჩენ 36 შემთხვევაში კი, სასამართლომ დააკანონა უკვე ჩატარებული ჩხრეკა. ეს კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს – თუ ჩხრეკა და

<sup>3</sup> ნიკოლოზ გვარამიას (იუსტიციის, ასევე, განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი) და კახა გენაძის საქმეები (ზესტაფონის ყოფილი გამგებელი).

ამოლება არ ემყარება გადაუდებელ აუცილებლობას, ის არ უნდა ჩატარდეს, ან/და შემდეგ არ უნდა დაკანონდეს.

- მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებზე, ზოგადად, უზრუნველყოფილია მოქალაქეთა დასწრების უფლება, ამ მიმართულებით კვლავ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები. აღკვეთის ღონისძიების სხდომების გარდა, სადაც ინფორმაცია წინასწარ არც ერთი სხდომის შესახებ არ გამოქვეყნებულა, ეს პრობლემა აგრეთვე დაფიქსირდა ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომებზეც, სადაც მოქალაქეებს შეზღუდული ჰქონდათ სხდომაზე დასწრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ სხდომები, მოსამართლის გადანყვეტილებით, ოფიციალურად დახურულად არ გამოცხადებულა.
- პრობლემურ საკითხად რჩება სასამართლო განხილვების დროულად დაწყებაც. პირველი წარდგენის სხდომების გამოკლებით, სხვა დანარჩენი სხდომების 37.5% 5 წუთზე მეტი დროის დაგვიანებით დაიწყო.

## შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განახორციელა. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩართო. ქუთაისსა და თბილისში მონიტორინგის იდენტური მეთოდები იყო გამოყენებული.<sup>4</sup>

საიამ საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე) 2012 წლის ივნისში წარმოუდგინა. მესამე ანგარიშის პრეზენტაცია 2013 წლის აპრილში (მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე) ჩატარდა. მეოთხე ანგარიშის პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, 2013 წლის ოქტომბერში გაიმართა.

ამჯერად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეხუთე ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშში აგრეთვე გაეცნობით ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამართული სხდომების დაკვირვების შედეგებს. წინა ანგარიშების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონიტორინგის მიზანი არის გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ანგარიშს თან ერთვის როგორც მონიტორინგის მიმდინარეობისას ახლად აღმოჩენილი, ისე წინა საანგარიშო პერიოდიდან მომდინარე პრობლემების შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანი სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

2013 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში საიამ 538 სასამართლო პროცესის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორისაა:

- 87 – პირველი წარდგენის სხდომა
- 83 – წინასასამართლო სხდომა

<sup>4</sup> ქუთაისში, საქმეთა მცირე რაოდენობის გამო, მონიტორინგს ერთი დამკვირვებელი ახორციელებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში მონიტორინგს სამი დამკვირვებელი ახორციელებდა, წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგურად.

- 68 – საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 271 – არსებითი განხილვის სხდომა
- 12 – სააპელაციო განხილვის სხდომა
- 6 – ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომა
- 11 – ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამართული სხდომა

ამ 538 სხდომიდან 327 თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, 199 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 5 – თბილისის სააპელაციო სასამართლოში და 7 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ერთადერთი თვალმისაცემი სხვაობა თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში მიმდინარე პროცესებს შორის შეეხებოდა პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებას.<sup>5</sup> საია ცალკე არ განიხილავს ნაფიცი მსაჯულთა და სააპელაციო სხდომებს, რადგან ამ პროცესებზე რაიმე განსხვავებული ტენდენციები არ დაფიქსირებულა. ნაფიცი მსაჯულთა და სხვა არსებითი განხილვის სხდომები ერთგვაროვნად მიმდინარეობდა.

მონიტორინგის წინა ანგარიშში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასამართლოში დაფიქსირდა გარკვეული წინსვლა არა მხოლოდ გახმაურებული, არამედ, ზოგადად, ჩვეულებრივი საქმეების განხილვის პროცესშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დადებითი ტენდენცია მიმდინარე პერიოდშიც გაგრძელდა, რაც განსაკუთრებით თვალმისაცემია აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ნაწილში.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომების უშუალო მონიტორინგის შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან გადაწყვეტილებებს. მოპოვებული ინფორმაცია

<sup>5</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს მანდატურმა ზეპირად გამოაცხადა განსასჯელის სახელი, ნაყენებული ბრალდება და მოსამართლის სახელი; თბილისის საქალაქო სასამართლოში პირველი მოსმენის შესახებ არანაირი ინფორმაცია წინასწარ ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

ციის დამუშავება და ანალიზი საიას გამოცდილმა იურისტებმა და ანალიტიკოსებმა განახორციელეს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა. ამასთან, შეფასდა მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურად, საიას დამკვირვებლები გარკვეულ შემთხვევებში აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადეს და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულწილად, სუბიექტურ ინფორმაციას, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების სირთულის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი. ე.წ. „გახმაურებულ“ საქმეებს, ასევე საქმეებს, რომლებიც საიას დამკვირვებლების და ანალიტიკოსების მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით განისაზღვრა, საიას მონიტორი, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპზე დაესწრო. საიას აკვირდებოდა იმ საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით. ასეთ საქმეებს ასოციაცია სააპელაციო სასამართლოშიც აკვირდებოდა.

## ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიში 5 ძირითადი ნაწილისგან შედგება:

პირველი ნაწილი მოიცავს ძირითად დასკვნებს სისხლის სამართლის საქმის ორ ეტაპთან (ბრალდებულის პირველი წარდგენის და წინასასამართლო სხდომები) და ცალკეულ სხდომებთან (საპროცესო შეთანხმების სხდომები) დაკავშირებით.

ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ბრალდებულის ძირითადი უფლებები სამართალწარმოების პროცესში. ესენია: მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, დაცვის უფლება, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლება და თარჯიმნის უფლება.

ანგარიშის მესამე ნაწილი ეხება პროცესის მონაწილეთა ქცევას სასამართლოში. ეს ნაწილი მოიცავს მხოლოდ ისეთი სახის დარღვევებს, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საპროცესო კანონს ან ეთიკურ ნორმებს.

ანგარიშის მეოთხე ნაწილი მოიცავს სასამართლოში პროცესის გამართვასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების მიმოხილვას.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში განხილულია ძირითადი საკითხები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა. აქვე წარმოდგენილია საიას მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც მონიტორინგის მანძილზე გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით მომზადდა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში.

## **5. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით**

### **I. პირველი წარდგენის სხდომები**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სასამართლოს შეუძლია სსსკ-ით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არამართებულობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება აღკვეთის ღონისძიების სანიანალმდეგოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც გარანტირე-

ბულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>6</sup> და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპის სასამართლო) რიგი გადაწყვეტილებებით.<sup>7</sup>

### 1.1. ზოგადი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 87 პირველი წარდგენის სხდომას (64 – თბილისის საქალაქო სასამართლოში, 23 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში) 106 ბრალდებულის<sup>8</sup> მიმართ. მონიტორინგის ყველა წინა პერიოდთან შედარებით, ზოგი მიმართულებით, ერთი შეხედვით, გაუარესებული მდგომარეობა დაფიქსირდა, თუმცა, ზოგადი სურათი მკვეთრად გაუმჯობესებულია. წინა პერიოდებში არსებული ცალკეული შემამფოთებელი პრაქტიკა უცვლელი დარჩა.

საიას მიერ მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული, მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთებულობის კუთხით. სასამართლოს მონიტორინგის პირველ და მეორე საანგარიშო პერიოდებში სასამართლო აკმაყოფილებდა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ, რაც მიუთითებდა აშკარა ტენდენციურობაზე პროკურატურის სასარგებლოდ. მონიტორინგის მესამე პერიოდში ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა, განსაკუთრებით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც სასამართლომ, რიგ შემთხვევაში, არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. მომდევნო საანგარიშო პერიოდში ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ნაცვლად ბრალდების ყველა შუამდგომლობის ავტომატურად დაკმაყოფილებისა. სასამართლოები შედარებით აქტიურები იყვნენ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას და არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნით. მოცემულ საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა. მოსამართლეები მეტ ძალისხმევას იჩენდნენ პროკურორის შუამდგომლობის საფუძვლებისა და დაცვის პოზიციის გამოსარკვევად. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის რაოდენობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

<sup>7</sup> E.g., *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

<sup>8</sup> ზოგიერთ პირველ წარდგენის მოსმენაზე ერთზე მეტი ბრალდებული მონაწილეობდა.



მართალია, წინა ანგარიშში დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენცია – ბრალდების მხარის მიერ პატიმრობის ნაკლები სიხშირით მოთხოვნა – შეიცვალა, თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის შესახებ უფრო დასაბუთებული გახდა. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი გირაოს შუამდგომლობები კვლავ არასათანადოდ დასაბუთებული იყო, რადგან პროკურატურა იშვიათად წარმოადგენდა ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, აქ თავის დადებით როლს სასამართლო ასრულებდა და ხშირად ის თავად ცდილობდა ბრალდებულისაგან ამ ინფორმაციის მოპოვებას.

პირველი წარდგენის სხდომებზე დაცვის განხორციელების მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად არა, მაგრამ გარკვეული კუთხით მაინც გაუმჯობესდა. როგორც პატიმრობის, ისე გირაოს მოთხოვნის შემთხვევებში, დაცვა უფრო იშვიათად ეთანხმებოდა ბრალდების პოზიციას და ცდილობდა, კონკრეტული არგუმენტებით დაესაბუთებინა თავისი პოზიცია. ამის საპირისპიროდ, სამწუხაროდ, ისევ იყო შემთხვევები, როდესაც დაცვა ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების შუამდგომლობას და თავის სასარგებლოდ არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი არ მოჰყავდა.

საიამ დააფიქსირა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლე დაეხმარა ბრალდებულებს, რომლებსაც ადვოკატი არ ჰყავდათ, უკეთ დაეცვათ საკუთარი თავი. მონიტორინგის დანყების მომენტიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) პირველად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ, მას შემდეგ რაც შესაბამისად განუმარტა ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიული ღონისძიებები, 2 ჩვეულებრივ საქმეში სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულთა მოთხოვნა და ერთს შეუფარდა პირადი თავდებობა, ხოლო მეორეს – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ. საია ამას დადებითად აფასებს და იმედს იტოვებს, რომ სასამართლოები ყველა შესაბამის შემთხვევაში გამოიყენებენ ალტერნატიულ აღკვეთის ღონისძიებებს ან საერთოდ არ შეუფარდებენ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებას.

ზემოხსენებული პოზიტიური ფაქტების მიუხედავად, გასული საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სასამართლოების მიერ ამჯერადაც, ძირითადად, ორი სახის აღკვეთის ღონისძიება გამოიყენებოდა: პატიმრობა და გირაო. ამას შემდეგი მიზეზი აქვს: პირველი – პროკურორები არასოდეს ითხოვდნენ სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებას, პატიმრობისა ან გირაოს გარდა; მეორე – იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული კონკრეტულად ვერ აყალიბებდა

საკუთარ მოთხოვნას, მოსამართლეები იშვიათად ცდილობდნენ, აეხსნათ მისთვის და გამოერკვიათ აღკვეთის ღონისძიების სხვა, უფრო მსუბუქი სახეების მოთხოვნისა და გამოყენების შესაძლებლობა; და მესამე – თავის მხრივ, დაცვის მხარის პასიური პოზიცია ამის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იყო.

106 ბრალდებულიდან მხოლოდ 8 შემთხვევაში დააყენა დაცვამ გირაოსგან განსხვავებული მოთხოვნა (4 – აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება, 3 – პირადი თავდებობა და 1 – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ). ამ 8 მოთხოვნიდან სასამართლომ 3 დააკმაყოფილა (ერთი ბრალდებული აღკვეთის გარეშე დატოვა, ერთს პირადი თავდებობა შეუფარდა, ერთს კი – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ). მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2 შემთხვევაში, როდესაც დაცვამ პირადი თავდებობა მოითხოვა, სასამართლო დარბაზში წარმოდგენილი არ იყო შესაბამისი პირი, რაც სასამართლოს ართმევდა შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა დაცვის მოთხოვნა. აღნიშნული მონაცემი განსხვავდება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემისგან, როდესაც სასამართლომ დაცვის 14 ალტერნატიული მოთხოვნიდან არც ერთი დააკმაყოფილა. საია მიიჩნევს, რომ მსგავს შემთხვევებში, ზოგადად, მოსამართლე უფლებამოსილია, სხდომაზე საკუთარი ინიციატივით გამოაცხადოს შესვენება, თუკი დაადგენს, რომ გარკვეულ ვადაში შესაძლებელია თავმდები პირის პროცესზე გამოცხადება და პირადი თავდებობის გამოყენება. თუმცა, საია ვერ შეაფასებს, კონკრეტულად რომელ საქმეში შეეძლო მოსამართლეს ამის გაკეთება, რადგან, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებას მოსამართლე პირს 24 საათიან ვადაში უფარდებს. იმ შემთხვევაში, თუკი ეს 24 საათიანი ვადა იწურება, ბუნებრივია, მოსამართლეს აღარ ექნება იმის რესურსი, რომ შესვენება გამოაცხადოს და დაცვას თავმდები პირის სხდომაზე წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს.

ამასთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ ერთ შემთხვევაში, სადაც სასამართლომ (მართალია, მცირე ოდენობის) გირაო გამოიყენა, შეეძლო, ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დაეტოვებინა (უპოვარი ბრალდებულის საქმე, რომელიც დეტალურად განხილულია გირაოს ქვეთავში).

## 1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები

### 1.2.1. გირაო

გირაო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს გამოძიებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ გათავისუფლდეს საქმეზე საბოლოო განაჩენის დადგომამდე. ბრალდებულს ან პირს, რომელმაც გადაიხადა გირაო მის სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (იმ კურსის გათვალისწინებით, რაც არსებობდა გირაოს გადახდისას), ან ქონებას ყადაღა ეხსნება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინევით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.<sup>9</sup>

როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეობის – გირაოს მიმართ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა. შედეგად, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, ბრალდებულის პიროვნება, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროკურატურა არ წარადგენს ინფორმაციას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. დაცვის მხარის ვალდებულებას არ წარმოადგენს აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.<sup>10</sup>

აქედან გამომდინარე, გირაოს მიზანშეწონილობა დამოკიდებულია მისი აუცილებლობის დასაბუთებაზე.

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.

<sup>10</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 200.2-ის თანახმად, გირაოს თანხა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და განსასჯელის ფინანსური მდგომარეობით.

### გამოვლენილი შედეგები


ამჟამინდელი სტატისტიკა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც იყო მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებში. კერძოდ, მოსამართლეები ავტომატურად აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ და ბრალდებულს უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებენ აღკვეთის ღონისძიებას.

წინა პერიოდთან შედარებით, მონიტორინგმა ამ პერიოდში განსხვავებული შედეგები გამოავლინა გირაოსთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამჯერად გირაო შეეფარდა უფრო ნაკლებ ბრალდებულს, ვიდრე მონიტორინგის წინა პერიოდში. ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება პატიმრობას მოითხოვდა, სასამართლომ შეუფარდა გირაო. თუმცა, სასამართლო ხშირად არ იკვლევდა სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არც იმას, საერთოდ აუცილებელი იყო თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

106 ბრალდებულიდან 55%-ს შეეფარდა გირაო, ხოლო 42%-ს – პატიმრობა. გარდა ამისა, ერთი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, 1 ბრალდებულის მიმართ – პირადი თავდებობა, ხოლო 1 ბრალდებული სასამართლომ დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).


დიაგრამა №1



აღნიშნულ პერიოდში გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული იყო იმ საქმეების 21%-ში, სადაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა (58 პირიდან 12 პირის მიმართ). 2012 წლის ოქტომბრამდე სასამართლო ყოველთვის აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ. მხოლოდ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ სასამართლოს პრაქტიკა შეიცვალა და, მიუხედავად ბრალდების მიერ პატიმრობის მოთხოვნისა, სასამართლომ დაიწყო აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება.


ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №2



პროკურატურის მიერ გირაოს მოთხოვნათა შემთხვევების 71%-ში (49-დან – 35 შემთხვევა) გირაოს სახით შეფარდებული თანხის ოდენობა მოთხოვნილზე ნაკლები იყო, 12 შემთხვევაში კი – თანაბარი (ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით). ორ დამატებით შემთხვევაში – სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მოთხოვნა გირაოს შესახებ. კერძოდ, სასამართლომ პირადი თავდებობა შეუფარდა ერთ-ერთ ბრალდებულს, მეორე ბრალდებულს კი, დააკისრა შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელიობის შესახებ.

### დიაგრამა №3



მონიტორინგის პერიოდში გირაოს სახით შეფარდებული მაქსიმალური თანხა შეადგენდა 50.000 ლარს,<sup>11</sup> ხოლო მინიმალური – 1.000 ლარს. წინა საანგარიშო პერიოდში გირაოს მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 35.000 ლარს, მინიმალური კი – 1.000 ლარს.

მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით.


გირაოს დაკისრება აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის და სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და დასაბუთებული. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება შეფარდებული თანხის გადახდა, გირაო უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი გირაოს შეფარდება, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას შეიძლება უდრიდეს.

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ გამო-

<sup>11</sup> შეფარდა თბილისის ყოფილ მერს გიორგი უგულავას.

ტანილი 58 გადანყვეტილებიდან, საიას აზრით, 9 გადანყვეტილება (16%) იყო დაუსაბუთებელი, რაც არის მკვეთრად უკეთესი შედეგი მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებთან შედარებით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შედეგებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №4



ამ გადანყვეტილებებს საია დაუსაბუთებლად მიიჩნევს შემდეგი მიზეზების გამო:

- მოსამართლეებმა გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადანყვეტილება მიიღეს პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების ან ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის გარეშე. ასევე, ბრალდებულები, რომლებსაც არ ჰყავდათ ადვოკატები და, უბრალოდ, აცხადებდნენ, რომ არ ეთანხმებოდნენ ბრალდების მხარის მოთხოვნას, მოსამართლეებმა შემდგომი გამოკვლევის გარეშე შეუფარდეს გირაო.
- ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევებში, მოსამართლეებს არ გამოუკვლევიათ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

ქვემოთ მოყვანილია დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითები:

- 2 პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში.<sup>12</sup> კერძოდ, ბრალდებულებმა მოიპარეს აკუმულატორი, რის შემდეგაც ისინი ნებაყოფლობით გამოცხადდნენ პოლიციაში, აღიარეს დანაშაული და ითანამშრომლეს გამოძიებასთან. აღნიშნული პირები მანამდე ნასამართლევი არ ყოფილან. ამის მიუხედავად, პროკურორმა მოითხოვა გირაო – თითოეულისთვის 5000-5000 ლარის ოდენობით. ადვოკატი ითხოვდა 2000 ლარის შეფარდებას. საბოლოოდ, სასამართლომ ერთ ბრალდებულს 4000, ხოლო მეორეს – 5000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა, თანხის გადახდამდე კი პატიმრობაში დატოვა, რაც ყოველად შეუსაბამო ღონისძიება იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.
- პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკულ დანაშაულში.<sup>13</sup> ანალოგიური დანაშაულის ჩადენისთვის იგი წარსულში ნასამართლევი იყო. პროკურორმა მოითხოვა მის მიმართ გირაოს სახით 5000 ლარის დაკისრება. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის და მისი ოჯახი ირიცხებოდნენ სოციალურად დაუცველთა ბაზაში და არ შეეძლო ამ თანხის გადახდა. სხდომაზე გაირკვა, რომ პირადად არც პროკურორს ჰქონდა გამოკვლეული ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, თუმცა, თავისი თანამშრომლისგან იცოდა, რომ ბრალდებული არ იყო სოციალურად დაუცველი. მოსამართლემ პროკურორის ზეპირსიტყვიერი განმარტების შემდეგ ბრალდებულს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გირაოს სახით 4000 ლარის გადახდა დააკისრა.

<sup>12</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტები.

<sup>13</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი.



### გირაოს შეფარდება უპოვარი ბრალდებულისათვის

ერთ საქმეში ბრალდებული იყო ნიგერიის მოქალაქე, რომელიც თბილისის ქუჩებში ფულადი შემწეობის თხოვნით ირჩენდა თავს. მას ბრალი ედებოდა პატრულის მანქანის დაზიანებაში (სსკ 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). უფრო კონკრეტულად, ბრალდებულმა საპატრულო მანქანას ქვა ესროლა. ბრალდებულის განცხადებით, მან ეს პატრულზე განაწყენების გამო ჩაიდინა. პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით 1000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება მოითხოვა. მიუხედავად დაცვის არგუმენტირებული შუამდგომლობისა, რომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე გათავისუფლებულიყო, სასამართლომ მას 1000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა. ეს კი, ფაქტობრივად, პატიმრობის ტოლფასი იყო, რადგან ბრალდებულს მისი გადახდის არავითარი საშუალება არ ჰქონდა. საიას მოსაზრებით, ამ შემთხვევაში სასამართლოს ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე უნდა დაეტოვებინა, რადგან: 1) ბრალდებულს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი თბილისში, სადაც ცხოვრობდა ქირით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მისი მოძებნა; 2) ბრალდებული ვერ შეუშლიდა გამოძიებას ხელს და ვერ განახორციელებდა მოწმეებზე ზემოქმედებას, ვინაიდან მოწმეები იყვნენ პატრულის თანამშრომლები; 3) ბრალდებული 2006 წლის ზაფხულიდან ცხოვრობდა საქართველოში და ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა შემჩნეული რაიმე სამართალდარღვევის ფაქტზე.

- მცირეწლოვანი შვილის მარჩენალ მამას ბრალი ედებოდა ნარკოტიკულ დანაშაულში.<sup>14</sup> პირი არ იყო წარსულში ნა-სამართლევი, აღიარებდა დანაშაულს და ითხოვდა 2000 ლარის ოდენობით გირაოს დაკისრებას, რადგან მეტის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. პროკურორმა პატიმრობა მოითხოვა. მოსამართლემ ყოველგვარი გამოკვლევისა და დასაბუთების გარეშე ბრალდებულს 10 000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა, რაც მისი ფინანსური მდგომარეობის არაპროპორციული იყო. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლეს არ სურდა ბრალდებულის პატიმრობაში და-

<sup>14</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი.

ტოვება, მას გირაოს სახით ისეთი თანხა უნდა შეეფარდებინა, რისი გადახდის საშუალებაც ბრალდებულს ექნებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას კი, გაუგებარი დარჩა მოსამართლის მოტივაცია. ამასთან, საიას შეფასებით, მოსამართლეს შეეძლო, უკეთ განემარტა ბრალდებულისათვის აღკვეთის სხვა ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა და გამოერკვია, ხომ არ მოითხოვდა ბრალდებული რომელიმე მათგანის დაკისრებას.

### 1.2.2. პატიმრობა

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული ზომის გამოყენება, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, პიროვნების თავისუფლების უფლებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.

თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით<sup>16</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>17</sup>

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის<sup>18</sup> და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის<sup>19</sup> თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში, პატიმრობის კანონიერება პერიოდულად გადასინჯოს, ხოლო ასეთი შუამდგომლობის განხილვაზე უარი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ქრილში განიხილება.

<sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

<sup>16</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5.1.

<sup>17</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.(1).

<sup>18</sup> *Jėčius v. Lithuania; The Right to Liberty and Security of the Person, A Guide to the Implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights, Monica Macovei, Human Rights Handbooks, No.5, Council of Europe, p.60-61.*


<sup>19</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 206.

### გამოვლენილი შედეგები

ერთი შეხედვით, გაუარესებული მდგომარეობა დაფიქსირდა ამ პერიოდში პატიმრობის, როგორც ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიმართულებით, თუმცა, თუ სხვა მონაცემებსაც გადავხედავთ, მდგომარეობა ჯამში მაინც უკეთესობის კენ არის შეცვლილი. კერძოდ, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, პროკურატურა უფრო ხშირად ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას, თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის თაობაზე უფრო მეტად იყო დასაბუთებული. ამასთან, როცა ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების თაობაზე არ იყო დასაბუთებული, სასამართლო უფრო იშვიათად აკმაყოფილებდა მას.<sup>20</sup>


პირველ განხილვაზე წარმოდგენილი 106 ბრალდებულიდან პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა 58 შემთხვევაში (55%), რაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი). აქედან სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა 45 შემთხვევაში (78%) დააკმაყოფილა. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს ამ მიმართულებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით):

დიაგრამა №5



<sup>20</sup> აღნიშნული საიას მიერ პირველად დაფიქსირდა მონიტორინგის წინა პერიოდში, 2011 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საიამ დაიწყო სასამართლო სხდომების დაკვირვება. 2012 წლის ოქტომბრამდე მსგავსი შემთხვევა, როცა სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შეფარდების შესახებ, საიას არ დაუფიქსირებია.

დიაგრამა №6




პატიმრობის შეფარდების 45 შემთხვევიდან, საიამ მხოლოდ ექვსი (13%) მიიჩნია დაუსაბუთებლად, როდესაც პროკურატურას არ ჰქონდა საკმარისი არგუმენტები პატიმრობის შეფარდებისთვის.

**დაუსაბუთებელი პატიმრობის მაგალითი**

სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმ პირის მიმართ პატიმრობის შეფარდების შესახებ, რომელსაც ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება ედება (სსკ 236-ე მუხლი 1-ლი და მე-2 ნაწილები). აღნიშნული ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. პროკურატურამ განაცხადა, რომ ბრალდებული შეიძლება მიმალულიყო, ზემოქმედება მოეხდინა მოწმეებზე და გაეგრძელებინა დანაშაულებრივი ქმედება, თუმცა, მან ამის დამადასტურებელი ვერც ერთი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. დაცვამ განაცხადა, რომ საქმეში ერთადერთი მოწმე პოლიციელი იყო, რის გამოც მასზე ზეწოლა ვერ მოხდებოდა. გარდა ამისა, მიმალვისა და დანაშაულებრივი ქმედების მოსალოდნელი გაგრძელება წარმოადგენდა მხოლოდ ვარაუდს და არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით. აქედან გამომდინარე, დაცვა არ დაეთანხმა პატიმრობის გამოყენებას და მოითხოვა გირაოს შეფარდება, თუმცა, სასამართლომ მაინც პატიმრობა გამოიყენა.

წინა პერიოდებთან შედარებით, დაუსაბუთებელი პატიმრობების პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს:

დიაგრამა №7



### 1.2.3. პირადი თავდებობა

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში გამართული პირველი წარდგენის სხდომებზე დაცვის მხრიდან პირადი თავდებობის, როგორც ალკვეთის ღონისძიების, შეთავაზება დაფიქსირდა 106-დან 3 ბრალდებულთან მიმართებით. აღნიშნული 3 შეთავაზებიდან მოსამართლემ მხოლოდ 1 შემთხვევაში დააკმაყოფილა პირადი თავდებობა, რადგან დანარჩენ 2 შემთხვევაში სხდომაზე წარმოდგენილი არ ყოფილა თავმდები პირი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საია მიიჩნევს, რომ ასეთ დროს მოსამართლეს შეუძლია, სხდომაზე გამოაცხადოს შესვენება, თუკი დარწმუნდება, რომ ამ ვადაში თავმდები პირი მოახერხებს სხდომაზე მისვლას და შესაძლებელი იქნება პირადი თავდებობის გამოყენება.

ადგილი ჰქონდა ასევე შემთხვევებს, როცა, საიას მოსაზრებით, ნაკლებად მძიმე დანაშაულებისას, მართალია ბრალდებულს თავად არ მოუთხოვია, თუმცა, შესაძლებელი იყო პირადი თავდებობის გამოყენება. ასეთ საქმეებში, საია მიიჩნევს, რომ მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით შეეძლო, გამოერკვია პირადი თავდებობის შეფარდების შესაძლებლობა (მაგალითად, სრულყოფილად განემარტა ბრალდებულისათვის ალკვეთის ღონისძიების სხვა სახ-

ეების გამოყენების შესახებ; ეკითხა, ხომ არ იყო დარბაზში შესაძლო თავმდეები პირი) და გადანყვეტილება ამის შემდეგ მიელო.

#### 1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ პირს ბრალად ედება დანაშაული, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით.<sup>21</sup> მონიტორინგის პერიოდში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, 14 ბრალდებულის მიმართ შესაძლებელი იყო ამ სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, თუმცა, სასამართლომ ის მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიყენა. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება სასამართლოს მიერ მოხდა მეორედ, საიას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამწუხაროდ, დანარჩენ 13 შემთხვევაში, მოსამართლეს არ უცდია, ემსჯელა აღნიშნული ალტერნატიული ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობაზე, შესაბამისად, გამოიყენა გირაო და პატიმრობა.

#### ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების დადებითი მაგალითი

პირს ბრალი ედება ნარკოტიკულ დანაშაულში (სსკ 273-ე მუხლი). საინტერესოა, რომ პროცესში არ მონაწილეობდა ადვოკატი და ბრალდებული თავს თვითონ იცავდა. ამ საქმეში მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა და ბრალდებულს მისთვის გასაგებად განუმარტა უფლებები და აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეების გამოყენების შესაძლებლობა. ამის შემდეგ ბრალდებულმა მოითხოვა, რომ მას სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმება დაეკისრებოდა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს სასამართლო ყველა მსგავს შემთხვევაში.

<sup>21</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 202.

### 1.2.5. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა აღკვეთის ღონისძიების სახეა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მოსამსახურის მიმართ.<sup>22</sup>

აღნიშნული მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ღონისძიების გამოყენება.

### 1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება

პირველი წარდგენის სხდომათა მონიტორინგმა ასევე დაადასტურა არსებული პროცედურული პრობლემები, რომლებიც ბრალდებულს ართმევს საჯარო განხილვის უფლებას, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით<sup>24</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>25</sup>

იმისათვის, რომ ეს უფლება ეფექტურად გამოიყენებოდეს, საკმარისი არ არის, რომ საზოგადოებას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე დასწრების უფლება ჰქონდეს. საზოგადოებას ასევე აქვს უფლება, წინასწარ იცოს ინფორმირებული საქმის მოსმენის შესახებ, რათა ჰქონდეს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, წინასწარ გამოაქვეყნოს პირველი მოსმენის დრო და ადგილი, ბრალდებულის სრული სახელი და გვარი, ასევე, მუხლები, რომლითაც ბრალი აქვს წაყენებული.

#### **გამოვლენილი შედეგები:**

იმ 87 პირველი წარდგენის სხდომიდან, რომელთა მონიტორინგსაც საია ახორციელებდა, კვლავ არც ერთის შესახებ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია წინასწარ (64 სხდომა გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 23 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში).

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 204.

<sup>23</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.1.

<sup>25</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.

პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის პრობლემა, 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც მონიტორინგის განხორციელება დაიწყო, საიას ყველა ანგარიშში აისახა. საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სიტუაცია უცვლელი რჩება. სასამართლო სისტემის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამის მიზეზი ტექნიკური შეზღუდვები იყო, რაც უკავშირდებოდა პირველი წარდგენის სხდომების ჩატარებას ბრალდებულის დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფნას აღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოგვარების კუთხით. დაპირების მიუხედავად, ამ მიმართულებით დღემდე არავითარი ღონისძიება გატარებულია. საია იმედოვნებს, რომ სასამართლო უახლოეს მომავალში მოახერხებს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

ამ მხრივ, ვითარება გარკვეულწილად უკეთესია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, სადაც, მართალია, მოსმენის თარიღები ელექტრონულ მონიტორებზე არ ქვეყნდება, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, მაგრამ, განხილვის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, სასამართლოს მისაღებში მანდატური აცხადებს ინფორმაციას ჩანიშნული სხდომის ადგილისა და ბრალდებულის ვინაობის შესახებ. თუმცა, იგი არ აცხადებს ნაყენებულ ბრალს.

საია მიიჩნევს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებული გამოცხადების მეთოდი არ არის სრულყოფილი, რადგან პირს, რომელსაც სურს პირველი წარდგენის სხდომაზე დასწრება, არ შეუძლია დაადგინოს დრო და ადგილი გონივრული ვადით ადრე. უფრო მეტიც, საზოგადოებას არ ეცნობება ბრალდების შესახებ. თუმცა, საიას აზრით, ეს არის გონივრული დროებითი ზომა, სანამ სასამართლოს ადმინისტრაცია ტექნიკურ საკითხებს გადაწყვეტს.

## **II. წინასამართლო სხდომები**

წინასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს თუ გაგრძელდეს საქმის განხილვა



არსებითად.<sup>26</sup>

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ, დააყენონ სხვა შუამდგომლობებიც.

### **გამოვლენილი შედეგები**

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საიას მიერ მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი), ამ საანგარიშო პერიოდში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა (საქმის აღწერა მოცემულია ქვემოთ, სპეციალურ ჩარჩოში).

#### **დევნის შეწყვეტა სასამართლოს მიერ**

აღნიშნულ სხდომაზე სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი და ნარკოტიკული საშუალება, რომელიც, ბრალდების მტკიცებით, ბრალდებულს ფიბერში აღმოაჩნდა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც დასაშვებად იქნა ცნობილი, არ იძლეოდა ალბათობის მაღალ ხარისხს, რომ ბრალდებულის მიმართ დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. სწორედ ამის საფუძველზე, მოსამართლემ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა და ბრალდებულს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება მოუხსნა.

<sup>26</sup> სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სამართლებრივი დევნა, თუ ის მაღალი ალბათობით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დგინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

სხვა მხრივ, მონიტორინგის მიმდინარე პერიოდის დაკვირვების შედეგები თითქმის სრულად ემთხვევა წინა პერიოდში გამოვლენილ შედეგებს, 1 გამონაკლისის გარდა. სასამართლო ამჯერადაც ძირითადად ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობას წარდგენილი მტკიცებულებების დაშვების შესახებ, ხოლო დაცვა, ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობებს. მიუხედავად ამისა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაცვის წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობებზე 21%-დან 37%-მდე გაიზარდა. გასული პერიოდის მსგავსად, დაცვა მეტწილად აქტიური იყო ე.წ. გახმაურებულ საქმეებში – იგი წარადგენდა მტკიცებულებებს და, ასევე, მოითხოვდა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ზოგიერთი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

წინასასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:

- 83 წინასასამართლო სხდომიდან ოცი გადაიდო. დარჩენილ 63 შემთხვევაში, პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობები მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. აქედან 3 სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებდა. დარჩენილი 60 საქმიდან სასამართლომ 57 შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, 2 შემთხვევაში კი – ნაწილობრივ. 1 შემთხვევაში, საიას მონიტორინგის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ და, საბოლოოდ, შეწყვიტა დევნა. წინა ოთხ საანგარიშო პერიოდში, ჯამურად, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა 251 შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ დაცვა არ დაეთანხმა 30 მათგანს.
- პროკურატურის 63 შუამდგომლობიდან 11-ს დაცვა არ დაეთანხმა. აღნიშნული 11 პროტესტიდან სასამართლომ ორ შემთხვევაში – ნაწილობრივ, ერთ შემთხვევაში კი – სრულად, დაუშვებლად ცნო პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.
- დაცვამ მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა 62-დან მხოლოდ 23 შემთხვევაში (37%).<sup>27</sup>

<sup>27</sup> 63 სხდომიდან 1 გადაიდო მანამ, სანამ დაცვა დააყენებდა შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ.

- 23 შემთხვევიდან, სადაც დაცვამ შუამდგომლობა წარადგინა, 9 გახმაურებული საქმე იყო (39%).
- 23-დან 16 შემთხვევაში (ამაში შედის 2 საქმე 9 გახმაურებული საქმიდან) პროკურატურა დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობებს. სასამართლო სრულად დაეთანხმა დაცვის 20 შუამდგომლობას მტკიცებულების წარდგენის შესახებ. აქედან 6 იყო გახმაურებული საქმე და დანარჩენი 14 – ჩვეულებრივი. 3 სხდომა გადაიდო მოსამართლის მიერ გადანყევტილების მიღებამდე.
- 63 წინასასამართლო სხდომიდან მხოლოდ 22-ზე დადგა სხვა სახის შუამდგომლობა მტკიცებულების წარდგენის შუამდგომლობებთან ერთად (მათ შორის, ექვსი იყო გახმაურებულ საქმეზე); ამათგან 20 შუამდგომლობა წარადგინა დაცვის მხარემ, 2 კი – ბრალდებამ. 5 შუამდგომლობა ეხებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, 3 – გაუქმებას, 9 ეხებოდა ბრალდების მოხსნას, 1 – ადვოკატის გამოყოფას საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით, 1 შუამდგომლობა შეეხებოდა ბრალდებულისათვის ახლობლებთან ტელეფონით კონტაქტის უფლების მინიჭებას, 1 – პროკურორის აცილებას, 1 – ქუთაისის სასამართლოს აცილებას<sup>28</sup> და 1 – ბრალდების შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობას.<sup>29</sup> აღნიშნული 22 შუამდგომლობიდან სასამართლომ 8 დააკმაყოფილა, მათ შორის, 1 – ბრალდების შუამდგომლობა და 7 – დაცვის.

<sup>28</sup> ეს შუამდგომლობა დადგა ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში ივანე მერაბიშვილის (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერ მინისტრი) და ზურაბ ჭიაბერაშვილის (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი) საქმეში. მერაბიშვილის დაცვამ მოითხოვა მთლიანად ქუთაისის სასამართლოს აცილება და საქმის თბილისის სასამართლოში განხილვა, რადგან ქუთაისის სასამართლო მიკერძოებულად მიიჩნია. ამის საფუძველი კი შემდეგი იყო: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მერაბიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეუფარდა პატიმრობა. ეს გადანყევტილება დაცვამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოში ეს საჩივარი უნდა განეხილა სისხლის სამართლის კოლეგიას. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ საკუთარი თავი გადაიყვანა სისხლის სამართლის კოლეგიის შემადგენლობაში და თავად განიხილა ეს საჩივარი. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ გასაჩივრებული აღკვეთის ღონისძიება ძალაში დატოვა. სწორედ ამ ფაქტის გამო მიიჩნია დაცვამ ქუთაისის სასამართლო მიკერძოებულად და ითხოვა საქმის თბილისის სასამართლოში განხილვა.

<sup>29</sup> იგივე.

### III. საპროცესო შეთანხმების სხდომები

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, სადაც დაცვასა და ბრალდებას შორის ფორმდება შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე, ბრალის აღიარებით, ან მის გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ამონმებს, არის თუ არა ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალდებები დასაბუთებული და სამართლიანია თუ არა პროკურატურის შუამდგომლობაში წარმოდგენილი შეთანხმებული სასჯელი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი.<sup>30</sup> კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა. თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების თანახმად, მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას, მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, კანონის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მოსამართლეს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმება შეცვლილი პირობებით.<sup>31</sup> ეს ანიჭებს მოსამართლეს შეზღუდულ, მაგრამ გარკვეულ ბერკეტს, ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის სამართლიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ კანონპროექტში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ,<sup>32</sup> რომელზეც ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა, მოსამართლეს ენიჭება უფლებამოსილება, შეიტანოს ცვლილება საპროცესო შეთანხმების პირობებში მხარეთა თანხმობით, ასევე, დანიშნოს შუამდ-

<sup>30</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53.3.

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 213.5.

<sup>32</sup> საკანონმდებლო მაცნე, [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2083606&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2083606&lang=ge).


გომლობით მოთხოვნილ სასჯელზე ნაკლებად მკაცრი სასჯელი მხარეთა თანხმობის გარეშე. აღნიშნულ ცვლილებას საია მიესალმება, რამდენადაც იგი ემსახურება ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოსამართლის როლის გაზრდას.

**გამოვლენილი შედეგები:**

მსგავსად სასამართლო მონიტორინგის წინა პერიოდებისა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც, საპროცესო შეთანხმების განხილვისას, სასამართლო თითქმის ყოველთვის პასიური იყო. საკითხის განხილვისას მოსამართლე იზღუდებოდა მისი საქმიანობის პროცედურული ვალდებულებებით და ბრალდებულისთვის ფორმალური კითხვის დასმით იმის შესახებ, ეთანხმება თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. მოსამართლე ასეთი პასიურობით არღვევს მის მიმართ არსებულ ვალდებულებას, დარწმუნდეს შეთანხმებული სასჯელის სამართლიანობაში. აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება გახმაურებულ საქმეებში არ მომხდარა.


წინა პერიოდიდან მოყოლებული თითქმის უცვლელი დარჩა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული წილი, როდესაც ბრალდებულს ჯარიმა დაეკისრა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის ბოლო სამი პერიოდის მანძილზე (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №8



გარდა ამისა, კიდევ შემცირდა დაკისრებული ჯარიმების ოდენობები. მიმდინარე პერიოდში 40 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც ჯამში სულ 74.000 ლარი შეადგინა (საშუალოდ, თითოეულ საპროცესო შეთანხმებაზე 1.850 ლარი). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის ბოლო სამი პერიოდის მანძილზე (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №9



მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა მერყეობდა 500-დან 5000 ლარამდე. წინა პერიოდში კი – 1000-დან 6000 ლარამდე.

ამ საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი უცვლელი დარჩა და, გასული საანგარიშო პერიოდის (იანვარი-ივნისი, 2013) მსგავსად, კვლავ 7%-ს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე საანგარიშო პერიოდში (ივლისი-დეკემბერი, 2012) ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1% იყო.

საიას მონიტორებმა დააფიქსირეს მხოლოდ ერთი შემთხვევა (რომელიც სპეციალურ ჩარჩოშია გამოყოფილი), სადაც მოსამართლემ დასვა დამატებითი შეკითხვები იმის განსასაზღვრად, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმება სამართლიანი.

**საქმე, სადაც მოსამართლე სასჯელის სამართლიანობით  
დაინტერესდა**

საქმე შეეხებოდა ძარცვას, თუმცა, ნაძარცვი ქონება წარმოადგენდა მხოლოდ 1 კილა ლუდს. მოსამართლე შეეცადა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის სამართლიანობის დადგენას და პროკურორს ჰკითხა, 6 თვით თავისუფლების აღკვეთა რატომ მიაჩნდა მას სამართლიანად მაშინ, როცა საქმე შეეხებოდა 1 ცალი 0.5 ლიტრიანი ლუდის ბოთლის ზარალს, რომლის ღირებულებაც სულ 2 ლარი და 70 თეთრი იყო. პროკურორმა განაცხადა, რომ ვინაიდან დანაშაული იყო არაერთგზისი (პირი მანამდე ნასამართლევი იყო იმავე დანაშაულისთვის), კანონმდებლობით დადგენილი მოსალოდნელი სასჯელიდან გამომდინარე, ეს იყო სამართლიანი მოთხოვნა. ამის შემდეგ მოსამართლემ ბრალდებულსაც ჰკითხა, სამართლიანად მიაჩნდა თუ არა მას ეს სასჯელი და მისი თანხმობის შემდეგ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

მეორე შემთხვევაში, დაფიქსირდა სასამართლოს რეალური მცდელობა, გაერკვია, დადო თუ არა ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმება მისი შედეგების სრული გაცნობიერების საფუძველზე და მიიღო თუ არა სათანადო იურიდიული კონსულტაცია. აღნიშნული მაგალითი დეტალურად განხილულია დაცვის უფლების ქვეთავში.

მონიტორინგის დროს საიამ აგრეთვე გამოავლინა ერთი შემთხვევა, როდესაც საპროცესო შეთანხმების განხილვის დანყებამდე, დარბაზში შემოსულმა ბრალდებულის ახლობელმა პროკურორს გადასცა წინასწარ გადახდილი ჯარიმის მწვანე ქვითარი. აღნიშნული კიდეც ერთხელ მიუთითებს სასამართლოს ფორმალურ როლზე საპროცესო შეთანხმების განხილვის დროს, რა დროსაც მხარეებს აქვთ მოლოდინი, რომ საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ ნებისმიერ შემთხვევაში დამტკიცდება. ჯარიმის გადახდის ქვითრების პროკურორებისათვის წინასწარ გადაცემის ტენდენცია ძალიან ხშირი იყო მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდში, თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდში მსგავსი ფაქტი აღარ დაფიქსირებულა.

## **ბ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლებების მიხედვით**

### **1. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი**

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ძირითადი პრინციპებია, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლებით.

ამ პრინციპების თანახმად, მხარეებს აქვთ უფლება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და ისარგებლონ თანაბარი უფლებებით საქმის მსვლელობისას.<sup>33</sup> ამ უფლების დასაცავად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისცეს მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, გამოიკვლიონ მტკიცებულებები. გარდა ამისა, მოსამართლე არ უნდა გასცდეს წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, არამედ უნდა შემოიზღუდოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის წარმოების პროცესში, სადაც ბრალდების მხარე შესაბამისი სახელმწიფო რესურსით და ძალაუფლებით სარგებლობს, ხოლო დაცვის მხარეს ასეთი უპირატესობა არ გააჩნია.

### ***გამოვლენილი შედეგები:***

საიას დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები უმეტესად მოქმედებდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფდნენ, რათა ყველა მხარეს ჰქონოდა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების წარმოსადგენად.

უმეტეს შემთხვევაში, მოსამართლეები არ ერეოდნენ მოწმეთა დაკითხვაში, წარმატებით იცავდნენ წესრიგს სასამართლო დარბაზში და უზრუნველყოფდნენ მხარეთა თანასწორობას.

მიუხედავად ამისა, საიამ დააფიქსირა გარკვეული ხარვეზები და სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა რიგ საკითხებთან მიმართებით:

---

<sup>33</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.6.



- სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა ჰქონდა გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების სხდომაზე გამოკვლევის პროცესში. სასამართლო, ზოგ შემთხვევაში, უფლებას აძლევდა ადვოკატს, მოეხდინა გამოძიების სტადიაზე მიცემული მონმის ჩვენების ციტირება ან ამ ჩვენებიდან დაესვა მისთვის კითხვები, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ადვოკატს ამის უფლება არ ეძლეოდა. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა 2 გახმაურებულ საქმეშიც. კერძოდ, ივანე მერაბიშვილის<sup>34</sup> სხდომებზე მოსამართლე აძლევდა ადვოკატებს უფლებას, დაესვათ ასეთი შეკითხვები, ბაჩანა ახალაიას<sup>35</sup> სხდომებზე კი – არა.
- სასამართლო არაერთგვაროვნად წყვეტდა მონმისათვის დასმული შეკითხვის განრიდების საკითხს. ივანე მერაბიშვილის სხდომებზე, როდესაც მხარე უკვე პასუხგაცემულ კითხვასთან დაკავშირებით გამოთქვამდა პროტესტს, მოსამართლე პასუხობდა, რომ პროტესტი დააგვიანა და შეკითხვას დასაშვებად მიიჩნევდა, ხოლო ბაჩანა ახალაიას სხდომებზე მოსამართლე ასეთ კითხვასაც და პასუხსაც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობდა.

საია მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რათა გამოირიცხოს შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობა, მხარეები თანაბარ პირობებში იქნენ ჩაყენებული და მიეცეთ საშუალება, წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი პოზიციებისათვის სასარგებლო სტრატეგია.

საიამ აგრეთვე გამოავლინა სასამართლოს არათანასწორი მიდგომა ბრალდებულთა მიმართ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში. კერძოდ:

- ნიკოლოზ გვარამიას<sup>36</sup> საქმეში, რომელთან ერთადაც სხვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ ბრალდებულები, მოსამართლემ ბრალდებულებს განუსაზღვრა

<sup>34</sup> ივანე მერაბიშვილი — შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერ მინისტრი.

<sup>35</sup> ბაჩანა (ბაჩო) ახალაია უკანასკნელ დრომდე იყო თავდაცვის მინისტრი, მანამდე კი სასაჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელი.

<sup>36</sup> ნიკოლოზ (ნიკა) გვარამია იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; მანამდე ის იყო იუსტიციის მინისტრე; ასევე იმყოფებოდა სხვა მაღალ თანამდებობებზე მთავრობაში. ამჟამად სატელევიზიო კომპანია რუსთავი 2-ის დირექტორია.

მხოლოდ 10-10 წუთი საბოლოო სიტყვის სათქმელად და ყველა მათგანს მკაცრად მოსთხოვა ამ დროში ჩატევა. მოსამართლემ ნიკოლოზ გვარამიას მისცა შესაძლებლობა, თითქმის 30 წუთი ესაუბრა და მხოლოდ რამდენჯერმე მსუბუქად შეახსენა, რომ დრო იწურებოდა, თუმცა, ამის მიუხედავად მისცა საშუალება, სხვა ბრალდებულებთან შედარებით 3-ჯერ უფრო მეტი დროით ესარგებლა.

- ამავე საქმეში, როდესაც ერთ-ერთი ბრალდებული, ალექსანდრე ხეთაგური,<sup>37</sup> პროკურორს „არაკომპეტენტურად“ მოიხსენიებდა, პროკურორის პროტესტის შემდეგ მოსამართლე ახსენებდა მას, რომ დაეცვა კორექტულობა. ხოლო როდესაც ნიკოლოზ გვარამიამაც იმავე ტერმინით მოიხსენია პროკურორი, ამ უკანასკნელის პროტესტზე მოსამართლემ უპასუხა, რომ „არაკომპეტენტური“ არ ნიშნავს შეურაცხყოფას.

საიამ აგრეთვე დააფიქსირა სასამართლოს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სასამართლო დარბაზებში წესრიგის დაცვის კუთხით. რიგ შემთხვევებში, სასამართლო იყო არაადეკვატურად ლმობიერი, რაც აზარალებდა პროცესის ეფექტურად წარმართვას, სხვა შემთხვევაში კი – არაადეკვატურად მკაცრი. მაგალითად:

- ერთ სხდომაზე მოსამართლეს ძალიან უჭირდა წესრიგის დაცვა, დამსწრე პირები ხმაურობდნენ და ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, მოსამართლე კი მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებოდა, არ იყენებდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფრო მკაცრ ღონისძიებებს და, რეალურად, ვერ ახერხებდა სხდომათა დარბაზში არსებული სიტუაციის მართვას.
- სხვა საქმეში, სადაც დამსწრე პირები ღიად და საკმაოდ ხმამაღლა აგინებდნენ პროკურორს, მანდატური მხოლოდ მცირე შენიშვნებით შემოიფარგლებოდა. სათანადო რეაგირება არც მოსამართლეს მოუხდენია.
- ამის საპირისპიროდ, გახმაურებულ საქმეში,<sup>38</sup> სადაც დარბაზში იყო ხალხმრავლობა და მცირე ხმაური შეინიშნებოდა, მოსამართლემ განაცხადა, რომ ხმაურის გაგრძელების შემთხვევაში, სხდომას დახურულად გამოაცხადებდა.

<sup>37</sup> ალექსანდრე ხეთაგური — ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი.

<sup>38</sup> გიორგი უგულავას (თბილისის ყოფილი მერი) საქმე.

- კიდევ ერთ ჩვეულებრივ საქმეში მოსამართლე განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩინდა ბრალდებულთა მიმართ და ადვოკატთან ყოველ გადალაპარაკებაზე შენიშვნას აძლევდა. ამით იგი საფრთხეს უქმნიდა დაცვის უფლების განხორციელებას სასამართლო სხდომაზე. ამავე პროცესზე მოსამართლემ დარბაზიდან გააძევა ერთ-ერთი დამსწრე მხოლოდ იმის გამო, რომ ერთხელ ხმადაბლა გადაულაპარაკა გვერდზე მჯდომს, რასაც, რეალურად, სხდომაზე წესრიგი არ დაურღვევია. მოსამართლეს შეეძლო, თავდაპირველად ღონისძიების ყველაზე მსუბუქი ფორმა – გაფრთხილება გამოეყენებინა.

#### სხვა დასკვნები:

- 281 არსებითი განხილვის სხდომიდან (ამაში შედის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებული 11 სხდომა), რომლებსაც საიას მონიტორები ესწრებოდნენ, ორი დახურული სხდომა იყო. დანარჩენი 279 სხდომიდან 120-ში დაიკითხნენ მოწმეები. ამ 120 საქმიდან 18-ში მოსამართლემ კითხვები დაუსვა მოწმეებს. 18 საქმიდან მოსამართლემ საპროცესო მოთხოვნები დაარღვია ოთხ შემთხვევაში, როდესაც კითხვები დაუსვა მოწმეს მხარეთა თანხმობის გარეშე. ეს მონაცემი გაუმჯობესებულია მონიტორინგის თავდაპირველ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, როდესაც მოსამართლეები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს პროცესუალური მოთხოვნების დარღვევით, თუმცა, გაუარესებულია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლემ მხოლოდ 1 შემთხვევაში დასვა კითხვა უნებართვოდ.
- ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლე შეიჭრა პროკურორის უფლებამოსილებაში და თავად განსაზღვრა გამოსაკვლევ მტკიცებულებათა რიგითობა. კერძოდ, მოსამართლემ თავის მაგიდასთან მიატანინა გამოსაკვლევ მტკიცებულებათა ყველა ფუთა და თავად გადანყვიტა, რომელი მტკიცებულების გამოკვლევით დაენყო. პროკურორმა გამოთქვა სურვილი, რომ ჯერ სხვა მტკიცებულება გამოეკვლიათ, რაზეც მოსამართლემ უპასუხა: „*მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მომეცით, მომეცით ფუთები*“ და თვითონ გადანყვიტა, თუ რომელი ფუთით დაენყო. მოსამართლე თავად კითხულობდა მომდევნო დალუქული პაკეტების

სახელებს და პროკურორს ამის გაკეთების საშუალებას არ აძლევდა. აღნიშნულით მოსამართლემ დაარღვია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, ვინაიდან ბრალდებას საშუალება არ მისცა, თავისი სტრატეგიის მიხედვით წარმოდგინა გამოსაკვლევი მტკიცებულებები.

- რამდენიმე არსებითი განხილვის სხდომაზე უზრუნველყოფილი არ იყო უკვე დაკითხული და დასაკითხი მოწმეების განცალკევება. მოწმეები დარბაზის გარეთ იდგნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, თუ რა ჩვენება მისცეს.<sup>39</sup> ამის აღსაკვეთად კი, არავის არაფერი უღონია. თუმცა, ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც პროცესზე დამსწრე პირმა მანდატურს ანიშნა, რომ დაკითხული მოწმე, რომელიც გარეთ გავიდა, დანარჩენ დასაკითხ მოწმეებს ესაუბრებოდა, მანდატურმა დაკითხულ მოწმეს მოუწოდა, ქვედა სართულზე ჩასულიყო.<sup>40</sup>

### **მოწმის დაცვის გარანტიების სიმცირე**

ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, რომელზეც მოწმე იკითხებოდა, ნათლად გამოჩნდა, რომ მოწმის დაცვის გარანტიები არ არის სრულად უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ, მოწმეს, რომელიც სასამართლოში ჩვენებას აძლევდა, ამკარად ეტყობოდა დაშინების კვალი. იგი იყო მცირეწლოვანი ბავშვის მარტოხელა დედა. ბრალდებულის შეკითხვებზე მისი პასუხების შინაარსი და ემოციური ფონი (ნერვული დაძაბულობა და შიში, რომელიც გამოიხატებოდა სახის გამომეტყველებასა და ხმის ტემბრზე) ამკარად მიუთითებდა, რომ დაშინების შედეგს წარმოადგენდა კონკრეტული შინაარსის ჩვენება, რომლითაც იგი ბრალდებულების დაკავებას აღწერდა.

ამ სხდომაზე პროკურორმა ფორმალურად დაუსვა შეკითხვა მოწმეს, დაექვემდებარა თუ არა იგი რაიმე სახის დაშინებას, ძა-

<sup>39</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებული მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.“

<sup>40</sup> გახმაურებული საქმე გურამ ჩალაგაშვილის (ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე) წინააღმდეგ.

ლადობას ან სხვა სახის უკანონო ქმედებას გამოძიების ეტაპზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მოწმის უარყოფითმა პასუხმა ვერ გააქარწყლა ეჭვი მის მიმართ გამოვლენილი ზეწოლის შესახებ. მოსამართლეს არ გამოუხატავს რაიმე რეაქცია, მაგალითად, პროკურორისთვის არ მიუნიშნებია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საჭიროებაზე. ნიშანდობლივია, რომ საპროცესო კანონმდებლობით, მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს შესაბამისი ზომები მოწმის უსაფრთხოების მიზნით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ეს უფლებამოსილება მთლიანად პროკურორს ენიჭება (სსსკ, მუხლი 67-71). ყოველივე ეს მიუთითებს კანონმდებლობის ხარვეზზე, ვინაიდან იგი სრულყოფილად არ არეგულირებს პროცესის მონაწილისა და მოწმის მიმართ დაცვის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს და უფლებამოსილ პირთა წრეს.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოწმეთა და მართლმსაჯულების თანამშრომელთა დაცვის შესახებ (მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №9, წევრი ქვეყნებისათვის მოწმეთა და მართლმსაჯულების თანამშრომელთა დაცვის შესახებ. 20 აპრილი, 2005. ევროპის საბჭო) სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ 1) სადაც მისი საჭიროება არსებობს, უზრუნველყონ მოწმის დაცვის ღონისძიების გატარება; 2) დაცვის ღონისძიება გამოიყენონ გადაუდებელი აუცილებლობისას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი ღონისძიება ოფიციალურად არ არის მიღებული; 3) დაცვის ზომების განმახორციელებელი პირები უნდა სარგებლობდნენ ავტონომიით, ამდენად, საგამოძიებო და დაცვის ღონისძიებათა განმახორციელებელ პირებს შორის ორგანიზაციულად უნდა იყოს განცალკევებული მათი ფუნქციები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მოწმის დაცვის სპეციალური ღონისძიების საფუძვლებს, არ შეესაბამება მინისტრთა კომიტეტის ზემოხსენებულ რეკომენდაციას. კერძოდ, ამომწურავი და ვიწრო ჩამონათვალის გამო, დაცვის ღონისძიება ვერ იქნება გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, სადაც იგი აუცილებელია. სსსკ-ის 68-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს უფლებამოსილ პირებს, ასევე არ შეესაბამება მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას. კერძოდ, ამ მუხლით, დაცვის სპეციალური ღონისძიების გატარების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს გამოძიების და მასზე ზედამხედველობის ორგანოს – პოლიციას და პროკურატურას.

ამ ნაკლოვანებების გამო, მოწმე ვერ სარგებლობს კანონით მისთვის მინიჭებული დაცვის გარანტიით. აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითის კი, ზემოთ მოყვანილი სხდომა წარმოადგენს.

## **II. დაცვის უფლება**

ბრალდებულის დაცვის უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტს სისხლის სამართალწარმოების დროს. აღნიშნული უფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, როდესაც დაცვის უფლება შესაძლოა შეილახოს, მაგალითად, როდესაც ბრალდებული არ ფლობს საქმისწარმოების ენას, მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ან არის ფიზიკურად ან ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რაც ხელს უშლის მას, თავად დაიცვას საკუთარი ინტერესები.

დაცვის უფლების სრული რეალიზაციისთვის, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მოამზადოს თავისი პოზიცია. ამასთან, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დასაცავად.

### **გამოვლენილი შედეგები:**

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლება და ადვოკატის მონაწილეობა პროცესებში კანონით განსაზღვრული სავალდებულო დაცვის შემთხვევებში.

გარდა ამისა, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვამ ითხოვა განხილვის გადადება იმისათვის, რომ უკეთ გასცნობოდა საქმის მასალებს და მომზადებულიყო, მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე ასეთ შუამდგომლობებს არ აპროტესტებდა.

მიუხედავად ამისა, გამოვლინდა დაცვის უფლების დარღვევის გარკვეული შემთხვევები, რა დროსაც ხან სასამართლო არ იძლეოდა დაცვის სრულყოფილად განხორციელების საშუალებას, ხან კი

თავად ადვოკატი იჩენდა პასიურობას და არ იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.

სასამართლოს მიერ დაცვის უფლების დარღვევის მაგალითები:

- ერთ საქმეში,<sup>41</sup> სადაც სასამართლომ აგრეთვე დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია (ამაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ, პროცესის მონაწილეთა ქცევის ნაწილში), საიას მონიტორებმა გამოავლინეს დაცვის უფლების დარღვევის რამდენიმე ფაქტი. კერძოდ:

1. არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე არ გამოცხადდა ადვოკატი. მან ტელეფონით შეატყობინა მოსამართლის თანაშემწეს, რომ ის მოყვა ავარიაში, რის გამოც ვერ ასწრებდა პროცესზე მისვლას. მოსამართლემ სხდომაზე გააკეთა განმარტება, რომ ადვოკატი იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში და უცნობი იყო, როდის შეძლებდა პროცესზე გამოცხადებას. შესაბამისად, ბრალდებულს დაუნიშნა სავალდებულო დაცვა მომავალი პროცესისთვის და გააგრძელა პროცესი ბრალდებულის დამცველის გარეშე.

ამ პროცესზე პროკურატურამ დააყენა მნიშვნელოვანი შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვა დაცვის მიერ წარმოდგენილი მონმეებისა და ექსპერტების დაკითხვის უფლება იმ შემთხვევაშიც, თუკი დაცვა მომავალში მოხსნიდა მათ თავისი მტკიცებულებებიდან და აღარ ისურვებდა პროცესზე მათ დაკითხვას. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორს ნებისმიერ შემთხვევაში ექნებოდა ამ მონმეების დაკითხვის უფლება, მიუხედავად იმისა, ისურვებდა თუ არა დაცვა მათ დაკითხვას. აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლომ ასე დააკმაყოფილა, რომ ბრალდებულისათვის აზრიც კი არ უკითხავს და არც განუმარტავს, რომ მას უფლება ჰქონდა გაეპროტესტებინა ეს შუამდგომლობა.

მეორე დღეს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა ბრალდებულის ადვოკატი, რომელიც აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ წინა დღის პროცესი არ გადაიდო და მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. ამასთან, ადვოკატი აპროტესტებდა

---

<sup>41</sup> ეს არის ერთ-ერთი საინტერესო საქმე, რომელშიც ვლინდება განსაკუთრებული დარღვევები და რომელსაც საია შეძლებისდაგვარად მიადევნებს თვალს მისი დასაწყისიდან დასრულებამდე. საქმე სააპელაციო დონეზეა გასაჩივრებული, თუმცა, განხილვის სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა.

პროკურორის მიერ წინა დღეს დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფაქტს და ითხოვდა მის გაუქმებას, რადგან მისი დაკმაყოფილება უკანონოდ მოხდა პროცესზე, რომელიც წესით უნდა გადადებულიყო. ადვოკატმა სასამართლო მიკერძოებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ტელეფონზე საუბრისას მან მოსამართლის თანაშემწეს ნათლად განუმარტა, რომ ის მხოლოდ 1 დღე ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას და ითხოვდა სხდომის მომდევნო დღისთვის გადადებას. ნაცვლად ამისა, სასამართლომ ბრალდებულს მომავალი პროცესისთვის დაუნიშნა სავალდებულო დაცვა და განაგრძო საქმის განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე.

საიას შეფასებით, ამ საქმეში გამოვლინდა დაცვის უფლებების დარღვევის რამდენიმე ეპიზოდი: ა) მოსამართლემ არ გადადო პროცესი, მიუხედავად ადვოკატის ლეგიტიმური თხოვნისა; ბ) მოსამართლემ არც იმ მოტივით გადადო პროცესი რომ სხდომაზე სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი მაინც გამოცხადებულიყო და დამცველის მონაწილეობის გარეშე გააგრძელა სხდომა; გ) სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მნიშვნელოვანი შუამდგომლობა ისე, რომ ბრალდებულის აზრი არც კი უკითხავს.

2. კიდევ ერთი სხდომის მიმდინარეობისას, როდესაც ადვოკატის მიერ მოწმის დაკითხვა ხორციელდებოდა, დაზარალებულთა მხრიდან არაერთი რეპლიკა ისმოდა, რითაც ადვოკატს ხელი ეშლებოდა მოწმის დაკითხვაში. ამის აღმოსაფხვრელად, მოსამართლე შემოიფარგლა მხოლოდ რამდენიმე სიტყვიერი გაფრთხილებით, რამაც შედეგი ვერ გამოიღო და ვერ მოხერხდა დაცვის ეფექტური განხორციელება.

3. სხდომის მიმდინარეობისას დარბაზში იყო ხმაური, ისმოდა რეპლიკები და უწმანური სიტყვები ადვოკატისა და ბრალდებულის მისამართით. ადვოკატმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ხელი ეშლებოდა დარბაზიდან ინტენსიური რეპლიკების გამო. ამის საპასუხოდ, მოსამართლე შემოიფარგლა მხოლოდ რამდენიმე სიტყვიერი გაფრთხილებით და დამსწრეებს სიჩუმისკენ მოუწოდა, რაც ვერ გამოდგა ეფექტური ღონისძიება. ადვოკატმა განაცხადა: „არ ვავგრძელებ დაკითხვას სანამ ამ ხალხს არ გაუშვებთ გა-



რეთ.“ მოსამართლემ კი უპასუხა: „გარეთ არავინ გავა. ეს საქმე ემოციურად დატვირთული საქმეა და, ბუნებრივია, რეპლიკები იქნება დარბაზიდან.“ საიას მოსაზრებით, მოსამართლემ აღნიშნული განცხადებით არა თუ ხელი შეუწყო დაცვის განხორციელებას, არამედ პირიქით, ნაახალისა დარბაზში მყოფთა მიერ ადვოკატისათვის ხელის შეშლა.

4. მსგავსი მდგომარეობა დაფიქსირდა კიდევ ერთ საქმეში, სადაც მოსამართლემ ადვოკატს არ მისცა შესაძლებლობა, მშვიდ ვითარებაში დაეცვა ბრალდებულის ინტერესები.

- ერთ-ერთი საქმის არსებითი განხილვის პროცესზე, როდესაც იკითხებოდა ბრალდების მხარის მონმე, ბრალდებულმა (არა მისმა ადვოკატმა) განაცხადა, რომ გამოთქვამდა პროტესტს. ამაზე მოსამართლემ უპასუხა, რომ თავად არ ჩარეულიყო, თავისი ადვოკატისთვის ეთქვა, რასთან დაკავშირებით ჰქონდა პროტესტი და ის გაახმოვანებდა. აღნიშნულით მოსამართლემ შელახა ბრალდებულის დაცვის უფლება, არ მისცა რა მას პოზიციის გამოხატვისა და საკუთარი თავის დაცვის საშუალება. საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს მსგავს ნორმას, რომელიც ბრალდებულს მხოლოდ ადვოკატის მეშვეობით აძლევს პოზიციის გამოხატვის უფლებას და თავად ბრალდებულის მხრიდან პროცესზე საუბარს კრძალავს.

დაცვის პასიურობის მაგალითი გამოვლინდა შემდეგ საქმეში:

- არსებითი განხილვის სხდომაზე, პირდაპირი დაკითხვის ეტაპზე, პროკურორები კანონის დარღვევით სვამდნენ მიმანიშნებელ შეკითხვებს,<sup>42</sup> რაზეც დაცვას არავითარი რეაგირება არ ჰქონია, ნაცვლად იმისა, რომ ყოველ ასეთ შეკითხვაზე პროტესტი დაეფიქსირებინა და განერიდებინა.

---

<sup>42</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.“

### დაცვის უფლების განხორციელების ხელშეწყობის მაგალითი

საპროცესო შეთანხმების განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლე დააფეხვა ადვოკატის მომზადების დონემ და მის ხელთ არსებულ ყველა ზომას მიმართა ბრალდებულის კანონიერი ინტერესის დასაცავად. კერძოდ, მოსამართლემ ადვოკატს ჰკითხა: „იცნობთ საქმის მასალებს?“

ადვოკატი: „ისე რა, რადგან გუშინ ჩავერთე [საქმეში].“

მოსამართლე: „ანუ, არ იცნობთ საქმის მასალებს.“

ადვოკატი: „ბრალდებულისაგან ვიცი [საქმის გარემოებები].“

მოსამართლე: „რამდენი [დრო] დაგჭირდებათ საქმის მასალების გასაცნობად?“

ადვოკატი: „20 წუთი. იქნებ საქმის მასალები მომაწოდოთ.“

მოსამართლე: „ქალბატონო ადვოკატო, საქმის მასალები გადაცემული აქვს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს და როდესაც გამოდიხართ პროცესზე, მომზადებული უნდა იყოთ, რათა სრულყოფილად დაიცვათ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესები! ახალი პროცესი [სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი] არ ითვალისწინებს ხელახლა [საქმის] მასალების გადმოცემას, თუმცა, ახლა გამოჩაქისს დაფუძვებ და მოგცემთ შესაძლებლობას, გაეცნოთ საქმის მასალებს“.

საიამ ასევე დააფიქსირა სასამართლოს მხრიდან დაცვის უფლების განხორციელების ხელშეწყობის ორი დადებითი მაგალითი. ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ ფართოდ განმარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას. მოსამართლემ ბრალდების მხარე დაავალდებულა რომ დაცვისათვის წინასწარ გადაეცა მომდევნო სხდომაზე დასაკითხ მოწმეთა სია.<sup>43</sup> მისი ამგვარი საქციელი გამოწვეული იყო იმ გარემოებით რომ საქმეში ბრადებას წარმოდგენილი ჰქონდა დიდი რაოდენობის მოწმეთა ჩვენებები. შედეგად, დაცვას ყოველი სხდომის წინ უწევდა დაახლოებით 450 მოწმის ჩვენების წაკითხვა და უმარავი მასალის გაცნობა. შესაბამისად, ინფორმა-

<sup>43</sup> აღნიშნული დაფიქსირდა გახმაურებულ საქმეში ივანე მერაბიშვილის (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერ მინისტრი) წინააღმდეგ.

ციის წინასწარ მიწოდების გარეშე, დაცვას ფიზიკურად არ ჰქონდა შესაძლებლობა სათანადოდ მომზადებულიყო ყველა მოწმის დაკითხვისათვის, რითაც, ბუნებრივია, საფრთხე ექმნებოდა დაცვის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას.<sup>44</sup> მოსამართლის ქმედების მეორე დადებითი მაგალითი ზემოთ, სპეციალურ ჩარჩოშია განხილული.

### III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. აკრძალვა უზრუნველყოფს წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვას.

ამ უფლების რეალიზებისთვის, ბრალდებულმა უნდა იცოდეს მისი უფლების შესახებ. ასევე, უნდა იცოდეს, რომ აქვს უფლება, არასათანადო მოპყრობის გამო, სარჩელი შეიტანოს მიუკერძოებელ სასამართლოში. ლოგიკურად, ბრალდებულის ეს უფლებები სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აცნობოს მას ამ უფლებების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბრალდებული პატიმრობაშია და სახელმწიფო ფიზიკურად სრულად აკონტროლებს მას.

საიამ, მონიტორინგის შედეგად, კვლავ გამოავლინა ამ უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის საწინააღმდეგოდ და მოისმინოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლის მეშვეობითაც, მოსამართლეს შეუძლია ქმედითი ზომების მიღება, როდესაც სახეზეა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობა. ნაცვლად ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰკითხოს ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას.


<sup>44</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის მიხედვით დაცვას უნდა მიეცეს ადექვატური დრო და საშუალება მოსამზადებლად.

### **გამოვლენილი შედეგები:**

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, მოსამართლემ უფრო ნაკლებ შემთხვევაში განუმარტა ბრალდებულს უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში:

- პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლემ 87 მოსმენიდან 9 შემთხვევაში (10%) არ განუმარტა ბრალდებულს უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ და არ გამოარკვია, დაექვემდებარა თუ არა ბრალდებული არასათანადო მოპყრობას. გასულ საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ ბრალდებულს ეს უფლებები არ განუმარტა 99 მოსმენიდან მხოლოდ 4 შემთხვევაში (4%). თუმცა, ამჟამინდელი მონაცემი მაინც იმაზე უკეთესია, ვიდრე მონიტორინგის დასაწყისში (2011 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) იყო (28%).
- მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით. სასამართლომ 68-დან 68-ვე შემთხვევაში გამოარკვია, ხომ არ იქნა საპროცესო შეთანხმება მიღწეული იძულებით, ზემოქმედებით, მოტყუებით ან სხვა ნებისმიერი უკანონო დაპირებით. გასულ საანგარიშო პერიოდში მოსამართლეებმა ეს უფლება არ აუხსნეს ბრალდებულს 69-დან 10 სხდომაზე (14%).
- საიას დაკვირვებით, მონიტორინგის პერიოდში გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების მხოლოდ 15%-ში (68-დან 10) არ აუხსნა მოსამართლემ ბრალდებულს, რომ მათ მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი ხელს არ შეუშლიდა კანონიერად გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №10



- შემთხვევების 22%-ში, როდესაც საპროცესო შეთანხმება იქნა მიღწეული (68-დან 15), მოსამართლემ არ აუხსნა ბრალდებულს, რომ, თუ საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა, ინფორმაცია, რომელიც გამოვლინდა საპროცესო შეთანხმების დადგენისას, არ იქნებოდა გამოყენებული მის წინააღმდეგ. ეს კიდევ უფრო გაუმჯობესებული შედეგია წინა პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლემ ვერ შეძლო ამის განმარტება ბრალდებულისთვის 69-დან 21 შემთხვევაში (30%).

მოსამართლის ფორმალური როლი არასათანადო მოპყრობის გამოძიების პროცესში და კანონის ხარვეზი ეფექტური გამოძიების მოთხოვნის ნაწილში კვლავ აშკარა იყო შემდეგ შემთხვევაში:

- ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში ბრალდებულმა ივანე მერაბიშვილმა სხდომაზე გააკეთა სპეციალური განცხადება და მასზე ზენოლაში დაადანაშაულა ქვეყნის იმდროინდელი მთავარი პროკურორი, ან უკვე თანამდებობიდან გადამდგარი ოთარ ფარცხალაძე.<sup>45</sup> ბრალდებულმა მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ 13 დეკემბერს ლამის საათებში ის უკანონოდ, თავზე ტანსაცმელგადაფარებული, გაიყვანეს საპატიმრო დაწესებულებიდან და ავტომანქანით მიიყვანეს მისთვის უცნობ შენობაში, სადაც მას დახვდა ორი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო იმდროინდელი მთავარი პროკურორი

<sup>45</sup> აღნიშნული განცხადება ივანე მერაბიშვილმა გააკეთა 2013 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე.

ფარცხალაძე. მერაბიშვილის განმარტებით, პროკურორმა მას შესთავაზა თანამშრომლობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმის გახსნაში, ასევე, მისგან მოითხოვა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშის მონაცემები. ბრალდებულ მერაბიშვილის განმარტებით, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროკურორი ფარცხალაძე მას დაემუქრა, რომ: მერაბიშვილს გაუუარესდებოდა პირობები ციხეში, დაიჭერდა ყველა მის მეგობარს და ახლობელს და ხელს შეუშლიდა მის ბიზნეს-საქმიანობას. მერაბიშვილის თქმით, მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, მას დაჰპირდნენ, რომ ქვეყნიდან გასვლის და მის მიერ „მოპარული“ თანხის გატანის საშუალებას მისცემდნენ.

აღნიშნული განცხადების შემდეგ მერაბიშვილმა კონსულტაციები გაიარა თავის ადვოკატებთან, დააყენა მათი აცილების შუამდგომლობა მოცემულ და მომდევნო სხდომაზე, რის შემდეგაც დატოვა დარბაზი, რათა დაბრუნებულიყო ციხეში.<sup>46</sup> მერაბიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ვერ დაელოდებოდა მოსამართლის გადანყვტილებას, ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფს ციხეში საფრთხე ემუქრებოდა და სასწრაფოდ უნდა გაჰყოლოდა. ამის შემდეგ მან და მეორე ადვოკატმა სხდომის დარბაზი დატოვეს. მერაბიშვილის მესამე ადვოკატი დარჩა სხდომაზე, ვინაიდან ის მეორე ბრალდებულის, ზურაბ ჭიბერაშვილის ინტერესებსაც იცავდა, თუმცა, განაცხადა, რომ მერაბიშვილის დაცვას ველარ გააგრძელებდა.

სასამართლომ სამივე ადვოკატი სასამართლოს უპატივცემლობისათვის 200-200 ლარით დააჯარიმა. ასევე, მიიღო განჩინება, რომ საქმეში ჩართულიყო სახაზინო ადვოკატი, ვინაიდან ბრალდებული მერაბიშვილი დარჩა დაცვის გარეშე და თავად არ ესწრებოდა პროცესს.

საიას მოსაზრებით, 2 საკითხია შესაფასებელი: როგორი რეაგირება უნდა მოეხდინა საჯარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მოსამართლეს და რამდენად სამართლიანად დააჯარიმა ადვოკატები.

---

<sup>46</sup> მერაბიშვილმა აიცილა ადვოკატები მოცემულ და მომდევნო სხდომაზე. აღნიშნული ადვოკატები დღესაც აგრძელებენ მერაბიშვილის ინტერესების დაცვას სასამართლოში.

სავარაუდო დაშინებისა და ზენოლის ფაქტის მოსმენის შემდეგ მოსამართლემ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ეს განცხადება დაფიქსირდებოდა სხდომის ოქმში, რაც, ცხადია, ვერ ჩაითვლება ადეკვატურ და საკმარის ღონისძიებად სასამართლოს მხრიდან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საკანონმდებლო დონეზე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მოსამართლის როლის გაზრდის აუცილებლობას, რათა ყოველი ასეთი შემთხვევის აღმოჩენისას, მოსამართლეს გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტი, მოითხოვოს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა კანონის შესაბამისად.

რაც შეეხება ადვოკატების დაჯარიმებას, საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება სასამართლოს მხრიდან იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან ბრალდებულის უფლებაა, გადაწყვიტოს, თუ ვინ წარმოადგენს მის ინტერესებს სასამართლოში. მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა მოცემულ სხდომაზე აიცილა ადვოკატები, მათ მოესპოთ მისი დაცვის განხორციელების შესაძლებლობა, შესაბამისად, სხდომათა დარბაზში მათ დარჩენას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, დამცველისათვის უპირველესი უნდა იყოს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით. სწორედ ამ მოტივით დატოვეს ადვოკატებმა სხდომის დარბაზი. მათი განცხადებით, ბრალდებულს ემუქრებოდა საფრთხე და სასწრაფოდ უნდა გაჰყოლოდნენ ციხეში. აღნიშნული არგუმენტი კი, მოსამართლემ არ გაითვალისწინა და ადვოკატები დააჯარიმა.

### **მოსამართლის რეაგირების დადებითი მაგალითი**

*საიამ დააფიქსირა ერთი დადებითი მაგალითი, როდესაც მოსამართლე, ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გასცდა კანონით მასზე დაკისრებულ მინიმალურ ვალდებულებებს და, მას შემდეგ, რაც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო უკანონოდ ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიება, პროკურორს მოუწოდა, გამოძიება დაეწყო ამ უკანონო ღონისძიების განმახორციელებლების მიმართ.*

#### **IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადანყვეტილების უფლება**

სამართლიანი სასამართლოს უფლება ბრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებაა, რომელიც ასევე მოიცავს სასამართლოს მიერ მოტივირებული გადანყვეტილების მიღების უფლებას.<sup>47</sup>

გადანყვეტილებების მიღების დასაბუთებულობის შესაფასებლად, საია დააკვირდა გამოძიების პროცესში განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების დაკანონების პროცესებს, რომლებიც ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე და გამართლებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. საია მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ამ საკითხებს ცალკე კვლევა სჭირდება, რაც სცილდება წინამდებარე ანგარიშის მიზნებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა, თვალსაჩინო გახდეს ამ მიმართულებით საქართველოს სასამართლოებში არსებული სურათი.

ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს პირად სფეროში ჩაურევლობის უფლებას; ამიტომ კანონი უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლს ჩხრეკასა და ამოღებაზე. ყველა შუამდგომლობა ჩხრეკისა და ამოღების შესახებ უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს დასაბუთებული გადანყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე მუხლები მკაცრად განსაზღვრავს ორ წინაპირობას ჩხრეკისა და ამოღებისათვის: დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად მოპოვებული იქნება დანაშაულის მტკიცებულება და სასამართლოს ნებართვა. ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს ნებართვის გარეშე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. მოსამართლემ შემდეგ ან უნდა დააკანონოს, ან გააუქმოს ჩხრეკისა და ამოღების შედეგები.

#### ***გამოვლენილი შედეგები:***

მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა ჩხრეკასა და ამოღებასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებში, სადაც საიამ კვლავ დააფიქსირა მოტივირებული (დასაბუთებული) გადანყვეტილების უფლების აშკარა დარღვევა.

<sup>47</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 194.2.



მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, მსგავსად წინა ანგარიშებისა, თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის მიერ შემდგომი დაკანონებით. კერძოდ, ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების 38 შემთხვევიდან, რომელიც საიამ დააფიქსირა, მხოლოდ ორ შემთხვევაში ჩატარდა აღნიშნული ღონისძიებები სასამართლოს ნებართვით, დანარჩენ 36 შემთხვევაში, დაკანონება სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა.

საიამ ვერ შეძლო გაერკვია, იყო თუ არა ჩხრეკისა და ამოღების ფაქტის შემდგომი დაკანონება დასაბუთებული, ვინაიდან ისინი არ განიხილება ზეპირი მოსმენების შესაბამის სხდომებზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ 95% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების დაუცველობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ტარდება.

## V. საჯარო განხილვის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულის და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და გარანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების იმგვარად განხორციელება, რომ სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების შემთხვევაში, მას არ შეექმნას მიმდინარე პროცესში გარკვევის პრობლემა. ეს ასევე ნიშნავს დასწრების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას ყველასთვის. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, სასჯელის ზომის, შესაბამისი კანონის და ბრალდებულის მიერ მისი გასაჩივრების უფლების მითითებით.<sup>48</sup>

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2013 წლის მაისში შევიდა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების მეტ საჯაროობას. ამ ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა ტელევი-

<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 277.1.

ზიებს უფლება მიეცათ, განახორციელონ სასამართლო პროცესის ვიდეო და აუდიო ჩანწერა.<sup>49</sup>

### **გამოვლენილი შედეგები:**

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო განხილვის უფლება, როგორც წესი, დაცულია. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ძირითადი გამოწვევის იყო პირველი წარდგენის სხდომები თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც ინფორმაცია სხდომის შესახებ წინასწარ არასოდეს ცხადდება.

ამასთან, 451 განხილვიდან 100 შემთხვევაში (22%), რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენის სხდომებს, წინასწარ არ ცხადდებოდა ინფორმაცია სხდომის თარიღისა და დროის შესახებ. ეს საკმარის მაღალი მაჩვენებელია და მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ყველა შესაბამის ზომას მიმართოს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე თბილისში.

საიამ ასევე გამოავლინა შემდეგი დარღვევები:

- 351-დან 6 შემთხვევაში (1.7%), სასამართლო სხდომების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო არასრული ან არასწორი. მაგალითად, განცხადებაში არ იყო დაკონკრეტებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომელთა მიხედვითაც პირს ბრალი ჰქონდა წაყენებული, ანდა მითითებული იყო მცდარი დრო ან სხდომის დარბაზი. 1 შემთხვევაში კი, სასამართლოში არსებული სხდომების გამოსაქვეყნებელი მონიტორი საერთოდ გათიშული იყო გარკვეული პერიოდის მანძილზე.
- ნაფიცი მსაჯულების შერჩევის 6-ვე ღია სხდომაზე საზოგადოებას არ ჰქონდა მათზე დასწრების შესაძლებლობა, ვინაიდან სხდომის დარბაზის შესასვლელს მანდატურები იცავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სხდომა მოსამართლის მიერ არ იყო დახურული, დაინტერესებულ პირებს მათზე დასწრების უფლებას არ აძლევდნენ მანდატურები და ნაფიცი მსაჯულების კოორდინატორები.<sup>50</sup> საიას დამკვირვებ-


<sup>49</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (ძალაშია 2013 წლის 1 მაისიდან) მუხლი 13<sup>1</sup>.

<sup>50</sup> ნაფიცი მსაჯულების კოორდინატორები, როგორც მათ საიას მონიტორს განუმარტეს, არიან სასამართლოს თანამშრომლები, რომლებიც პასუხს აგებენ

ელს არაერთხელ მოუწია სასამართლოს თანაშემწესთან დაკავშირება, ასევე, მანდატურებისა და ნაფიცი მსაჯულების კოორდინატორებისთვის განმარტება, რომ ასეთ სხდომაზე დასწრება ნებისმიერი დაინტერესებული პირის უფლებაა, თუ მოსამართლის გადაწყვეტილებით არ არის დახურული.

- 535-დან 20 შემთხვევაში (4%), ბრალდებულის ახლობლები ან სხვა დაინტერესებული პირები ვერ დაესწრნენ სხდომას დარბაზის სიმციროს გამო. მათ შორის იყო სამი გახმაურებული საქმე (გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის საქმე, ბაჩანა ახალაიას საქმეები და ივანე მერაბიშვილის საქმეები).
- 269 არსებითი სხდომიდან<sup>51</sup> 13 დასრულდა განაჩენის საჯარო გამოცხადებით. ამ 13 განაჩენიდან 10 (77%) იყო გამამტყუნებელი, დანარჩენი 3 – გამამართლებელი. ამ სამიდან ერთი იყო არაგახმაურებული საქმე, 2 კი – გახმაურებული. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მდგომარეობას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №11



ნაფიცი მსსკჯულთა კანდიდატებსა და მოქმედ მსაჯულებთან დაკავშირებულ ტექნიკურ და საორგანიზაციო საკითხებზე.

<sup>51</sup> ორი სხდომა დახურული იყო.

- 13 საბოლოო განაჩენიდან ოთხ შემთხვევაში (31%) სასამართლომ არ მიუთითა შესაბამისი საკანონმდებლო დებულებები.
- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, ყველა საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა. 68 დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებიდან, მოსამართლემ მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ გამოაცხადა განაჩენი საჯაროდ, მხოლოდ აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცებული იყო და დარბაზი დატოვა.

დაკვირვების სხვა შედეგები:

- ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულს ბრალი ედებოდა სექსუალურ დანაშაულში არასრულწლოვანი გოგონას მიმართ. დაზარალებული არასრულწლოვანი გოგონას სახელი არაერთხელ გახმოვანდა პროცესზე, რითაც დაირღვა ამ არასრულწლოვნის ინტერესი. მიუხედავად მძიმე დანაშაულისა და არასრულწლოვნის ნორმალური განვითარების მიმართ საფრთხის არსებობისა, მოსამართლემ არ გამოიყენა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და არ დახურა პროცესი, ასევე, არ გამოიყენა სხვა მექანიზმი, რათა დაეცვა ბრალდებულის პერსონალური მონაცემები.<sup>52</sup>
- მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შიდა რეგულაციების მიხედვით, მოსმენის დაწყების შემდეგ დარბაზში შესვლა არ შეიძლება, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც სხდომას აკვირდებოდნენ, 1 ასეთ პროცესზე (ბაჩანა ახალაიას საქმე) შესვლის უფლება მიეცათ.
- 1 სხდომა დახურა მოსამართლემ მას შემდეგ, რაც დამსწრე პირებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. მოსამართლემ საჯაროდ არ გამოაცხადა სხდომის დახურვის შესახებ, არამედ მანდატურს დაავალა, დამსწრეები დარბაზიდან გაეყვანა. აღნიშნულით მოსამართლემ დაარღვია სსსკ მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, ის ვალდებული იქნებოდა დაეცვა დარბაზის მონაცემები.

<sup>52</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით“.

ული იყო, საჯაროდ გამოეცხადებინა პროცესის დახურვის საფუძველი.<sup>53</sup>

## **VI. თარჯიმნის ყოლის უფლება**

საქართველოს კონსტიტუცია,<sup>54</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>55</sup> და საერთაშორისო კონვენციები,<sup>56</sup> რომელთა მონაწილე მხარეც არის საქართველო, ითვალისწინებს, რომ, თუ პიროვნებამ არ იცის სამართალწარმოების ენა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.

### **გამოვლენილი შედეგები**

მონიტორინგის განმავლობაში საია დააკვირდა 13 სხდომას, სადაც სავალდებულო იყო თარჯიმნის მონაწილეობა. აღნიშნული 13 მოსმენიდან მხოლოდ 1 შემთხვევაში დაირღვა ბრალდებულის უფლება თარჯიმნის მომსახურებაზე. კერძოდ, მართალია, პროცესზე მონვეულები იყვნენ თურქული და აზერბაიჯანული ენის თარჯიმნები, მაგრამ ისინი არასათანადოდ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მოსამართლემ სხდომაზე დეტალურად ნაიკითხა აცილების საფუძველები, თუმცა, თარჯიმნებმა საერთოდ არ უთარგმნეს ისინი ბრალდებულებს. ამის შემდეგ მოსამართლემ იკითხა, ხომ არ ჰქონდათ ბრალდებულებს აცილების შუამდგომლობა. თარჯიმნებმა ბრალდებულებს მხოლოდ ეს შეკითხვა უთარგმნეს. არც მოსამართლემ და არც ადვოკატმა აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არ მოახდინეს და ბრალდებულის ინტერესები არ დაიცვეს.

დაფიქსირდა ამის საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც მოსამართლემ სხდომაზე საკუთარი ინიციატივით შესვენება გამოაცხადა ბრალდებულისათვის თარჯიმნის დასანიშნად (მაგალითი მოცემულია სპეციალურ ჩარჩოში).

<sup>53</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>54</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.2.

<sup>55</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 38.8.

<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.3.

### **თარჯიმნის დანიშვნა მოსამართლის ინიციატივით**

ერთ-ერთ საქმეში აზერბაიჯანელი ეროვნების ბრალდებულს სათანადოდ არ ესმოდა ქართული ენა. სხდომაზე არ იყო მონეული თარჯიმანი, რადგან გამოძიების ეტაპზე მიიჩნეოდა, რომ ბრალდებულს ქართული ესმოდა. სხდომის მიმდინარეობის დროს ბრალდებულის ვინაობის დადგენისას, მოსამართლემ გამოარკვია, რომ ბრალდებულს არც ისე კარგად ესმოდა, რასაც ეკითხებოდნენ, ვინაიდან ქართულად არ იცოდა სამართლებრივი ტერმინოლოგია. მას არც ისეთი სიტყვების მნიშვნელობა ესმოდა, როგორცაა „ნასამართლევი“ და „მეუღლე“. პროკურორმა განაცხადა, რომ რადგან ბრალდებულს იყო აზერბაიჯანელი, ის სწრაფად ვერ აღიქვამდა სიტყვებს. მოსამართლემ კი აღნიშნა, რომ ის ვერ შეაფასებდა, საერთოდ აღიქვამდა თუ არა ბრალდებული, რასაც ეკითხებოდნენ და ასე ვერ გააგრძელებდა სხდომას. მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება აზერბაიჯანული ენის თარჯიმნის მოსაწვევად.

## **8. პროცესის მონაწილეთა ქცევა სასამართლო სხდომაზე**

საიას მიერ წარმოებული მონიტორინგის განმავლობაში არაერთ სხდომაზე გამოვლინდა მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან, ერთი მხრივ, არაეთიკური და, მეორე მხრივ, კანონის შეუსაბამო ქმედებები. მართალია, თითოეული ეს შემთხვევა კონკრეტული უფლებების, გარკვეულწილად, შეზღუდვასაც მოიცავს, თუმცა, უფრო მეტად მიუთითებს პროცესის მონაწილეთა არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე. აქ არ არის განხილული ისეთი ფაქტები, რომლებიც შეეხება პროცესის მონაწილეთა მიერ ნორმის ინტერპრეტაციას ან დისკრეციული უფლებამოსილების არაგონივრულად გამოყენებას.

### **სასამართლო**

- ერთ-ერთ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაფიქსირდა უდანაშაულობის პრეზუმფციის და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის უხეში დარღვევა. კერძოდ,

სასამართლომ, ერთ-ერთ მიმდინარე საქმეზე, რომელთან დაკავშირებითაც გაზეთში სტატია დაინერა, გააკეთა საპასუხო განცხადება. განცხადებაში სასამართლომ მიუთითა: „საქმის ფაქტობრივი გარემოებები გამოიხატება შემდეგში: 2013 წლის 4 მარტს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა დ.დ-მ, შეკამათების დროს, განაწყენების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, საკუთარ სახელზე შენახვის უფლებით დარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერადი გასროლით გულ-მკერდის არეში სიცოცხლისათვის საშიშვლო დაზიანებები მიაყენა დ.გ-ს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ამასთანავე, ერთ-ერთი გასროლის შედეგად, დანაშაულის ჩადენის მომენტში მასთან ერთად მყოფ პირს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ცეცხლსასროლი ჭრილობის სახით მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება.“ აღნიშნულით სასამართლომ, წინასწარ, ყველა მტკიცებულების გამოკვლევისა და შეჯერების გარეშე, ბრალდებული დამნაშავედ გამოაცხადა, მოიხსენია რა მის მიერ დანაშაულის ჩადენა მტკიცებითი ფორმით. სასამართლოს ეს განცხადება მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

საიამ წერილით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და სთხოვა, ყველა შესაძლო საშუალებით აღმოეფხვრა ხსენებული დარღვევა, რის საპასუხოდაც სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული განცხადება შეიცავდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად, ეს უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევად არ მიაჩნდა. საიას შეფასებით, სასამართლოს თავის განცხადებაში უნდა მიეთითებინა, რომ პირს ბრალი ედებოდა კონკრეტულ ვითარებაში, კონკრეტული მოტივით, ამა და ამ დანაშაულის ჩადენაში. ეს იქნებოდა საქმის გარემოებების მიუკერძოებელი აღწერა. ნაცვლად ამისა, სასამართლომ საქმის გარემოებები წარმოაჩინა ისე, როგორც ბრალდების მხარემ და არა როგორც ნეიტრალურმა არბიტრმა, რითაც უხეშად შელახა დაცვის მხარის ინტერესები.<sup>57</sup> სამწუხაროდ, აღნიშნული განცხადება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებ-

<sup>57</sup> საიამ ვერ გაასაჩივრა სასამართლოს უკანონო ქმედება, რადგან არ წარმოადგენდა სათანადო მოსარჩელეს. აღნიშნულის გასაჩივრების უფლება აქვს თავად ბრალდებულს. საია, ბრალდებულის სურვილის შემთხვევაში, გაუწევს მას სამართლებრივ დახმარებას.

გვერდზე დღესაც უცვლელი ფორმითაა ხელმისაწვდომი.<sup>58</sup>

- ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლემ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა, კერძოდ, უფლებების განმარტებისას მან ბრალდებულს არასწორად განუმარტა მოსალოდნელი სასჯელი. პირს ბრალი ედებოდა მკვლელობის მცდელობაში და არა მკვლელობაში, მოსამართლემ კი, შეცდომით განუმარტა, რომ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას უვადო თავისუფლების აღკვეთა ელოდა, რაც დაუშვებელია სისხლის სამართლის კოდექსით.<sup>59</sup> აღნიშნულ შეცდომას იმეორებდა პროკურორიც და სწორედ მასზე ამყარებდა თავის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ შენიშვნა არც დაცვის მხარეს გამოუთქვამს.
- ერთ ნინასამართლო სხდომაზე, ბრალდებულს ბრალი ედებოდა მკვლელობაში, რაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეა. სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა, რომ მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა თავისი საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მიერ. მოსამართლემ პირდაპირ გადასცა საქმე არსებითად განსახილველად. აღნიშნულით მოსამართლემ დაარღვია კანონის მოთხოვნები და ბრალდებულს მოუსპო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზების საშუალება.<sup>60</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით არც ბრალდებულის ადვოკატს გამოუხატავს პროტესტი, რაც მიუთითებს მის არაკვალიფიციურობასა ან გულგრილობაზე. ასევე,

<sup>58</sup> იხ. ბმული [http://court.ge/courts/quTaisis\\_saqalaqo\\_sasamarTlo/?page=25&id=885](http://court.ge/courts/quTaisis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=885) [ბოლოს ნანახია 31/03/2014].

<sup>59</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის“.

<sup>60</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული უფლებები. ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, ამბობენ თუ არა მხარეები უარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. თუ მხარეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს ერთობლივად არ განაცხადებენ, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს“.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ განსაზღვრავს პროცედურას, რომლითაც შეიძლება ბრალდებულისათვის ამ უფლების აღდგენა. მის დაცვას არსებითი გავლენა აქვს ბრალდებულის სამართლებრივ ინტერესებზე. შესაბამისად, აუცილებელია, კანონმა დაარეგულიროს ბრალდებულისათვის აღნიშნული უფლების აღდგენის პროცედურა.

### **პროკურორი, მანდატური, პოლიციელი**

- ერთ-ერთი სხდომის დაწყების წინ, გამოვლინდა შემთხვევა, რომლითაც ეთიკური ნორმები დაარღვია როგორც პროკურორმა, ისე პოლიციელმა და სასამართლოს მანდატურმა.

ნაფიც მსაჯულთა მიერ სასჯელის დანიშვნის სხდომის დაწყების წინ ერთ-ერთი ბრალდებული (იგი მკვლელობის ბრალდების ნაწილში ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს, თუმცა, გაამტყუნეს ხულიგნობის ბრალდების ნაწილში. სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა გამართულიყო სასჯელის დანიშვნის სხდომა) ფანჯრის რაფაზე, ტანით უკან გადახრილი იჯდა. მანდატურმა მას აგრესიულად მიმართ: „რას წამოწოლილხარ, საბანიც ხო არ მოგართვა?!“ ამაზე ბრალდებულმა უპასუხა: „რა გინდა, ძმაო?“ რასაც მოჰყვა მანდატურის მხრიდან მასთან კონფლიქტის წამოწყება. ამ დროს მათთან მივიდა პროკურორი, რომელმაც განაცხადა: „კიდევ რომ გრძელი ენით ლაპარაკობს, ეს მკვლელები გამოუშვეს ნაფიცებმა, ესაა ჩვენი სისტემა და ნაფიცები!“ მანდატურმა უპასუხა: „ესაა ის, რომ გამოუშვეს?“ ამ ფაქტს შეესწრო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დარბაზის წინ მდგარი პოლიციელი, რომელმაც პროკურორს შესთავაზა: „ხო არ დავაკავო ადმინისტრაციული წესით?“ რაზეც პროკურორმა უარი უთხრა.

**პროკურორის მხრიდან**, მოცემულ შემთხვევაში, უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევაზე ვერ ვიმსჯელებთ, ვინაიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ დროს უკვე ძალაში იყო შესული. თუმცა, მან თავისი გამონათქვამებით დაარღვია საქართველოს პროკურატურის

რის მუშაკთა ეთიკის კოდექსის<sup>61</sup> მოთხოვნები, რომლის მიხედვით, იგი ვალდებული იყო, საკუთარი მოსაზრების გამოთქმისას, ტაქტიანად გამოეხატა დასაბუთებული კრიტიკა. ამ შემთხვევაში, კრიტიკა დასაბუთებული არ იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტთან დაკავშირებით.<sup>62</sup> გარდა ამისა, ამავე ნორმატიული აქტით, იგი ყველა მხარეს უნდა უნერგავდეს მართლმსაჯულების პატივისცემას,<sup>63</sup> რაც ცალსახად გამოირიცხება მისი გამონათქვამებით.

**სასამართლოს მანდატურის** მხრიდან გამოიხატა შეურაცხყოფელი დამოკიდებულება გამართლებულის მიმართ, ამასთან, მისი ქმედება ამკარად შეიცავდა პროვოკაციის ელემენტებს. ამით მანდატურმა დაარღვია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების მე-2 და მე-5 თავით დადგენილი წესები, რომლითაც მას მკაცრად მოეთხოვება მოქალაქეთა მიმართ თავაზიანობა და კეთილგანწყობა.

**პოლიციელის მხრიდან** გამოვლინდა მიდრეკილება უფლებამოსილების გადამეტებისკენ: მისი წინადადებით პროკურორის მიმართ, ხომ არ დაეკავებინა გამართლებულ ადმინისტრაციული წესით, წარმოქმნის ვარაუდს, რომ მას სხვა ნებისმიერ დროს შეუძლია, საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, დააკავოს პირი. უფრო კონკრეტულად, პროკურორს რომ თანხმობა მიეცა, იგი დააკავებდა მოქალაქეს უკანონოდ და გადაამეტებდა უფლებამოსილებას. ვინაიდან მან მხოლოდ შესთავაზა პროკურორს უკანონო დაკავება, მისი მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე ვერ ვიმსჯელებთ, თუმცა, მან დაარღვია პოლიციის ეთიკის ნორმები, რომელთა მიხედვით, იგი ვალდებულია, საკუთარი მოქმედების დაგეგმვისა და დაწყების წინ ყოველთვის დარწმუნდეს მის კანონიერებაში,<sup>64</sup> იცავდეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, როგორცია თა-

<sup>61</sup> პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია საქართველოს გენერალური პროკურორის 2006 წლის 19 ივნისის №5 ბრძანებით.

<sup>62</sup> პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1.

<sup>63</sup> პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.2.

<sup>64</sup> პოლიციის ეთიკის კოდექსი, პირველი თავის მე-2 პუნქტი.

ვისუფლებიან და უსაფრთხოების უფლება.<sup>65</sup>

- ერთ-ერთ განხილულ საქმეში ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ, საიამ მიიჩნია, რომ პროკურატურის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქმის განზრახ გაჭიანურებას, რაზეც ვერც მოსამართლემ მოახდინა სათანადო რეაგირება. კერძოდ, 17 სექტემბრის სხდომაზე, პროკურორის საქმეზე უნდა წარმოეთქვა დასკვნითი სიტყვა, რაც ვერ მოხერხდა ამავე პროკურორის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო (აღსანიშნავია, რომ წინა დღეს 16 სექტემბერს, ამავე პროკურორის წერილობითი განცხადების საფუძველზე გადაიდო საქმე მეგის ქარდავასა და სხვათა მიმართ. წერილობით განცხადებაში პროკურორი მიზეზად ახალაიას სხდომაზე დასკვნითი სიტყვისათვის მზადებას ასახელებდა). ბაჩო ახალაიას საქმეზე ჩატარებულ მომდევნო სხდომაზე პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დასახელებდა, თუმცა საქმეში ამ დრომდე არ არის წარმოდგენილი ცნობა, რაც აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს. 19 სექტემბერს საქმეში ჩაერთო მეორე პროკურორი, რომელმაც თავდაპირველად მოითხოვა პროცესის გადადება 30 დღით, იმ მიზნით, რომ საჭიროებდა საქმის მასალების გაცნობას. მას ამისათვის მიეცა 10 დღე. 30 სექტემბრის სხდომაზე იგივე პროკურორი ისევ მოუმზადებელი გამოცხადდა და ითხოვა დამატებით 20 დღე საქმის მასალების გასაცნობად, მოსამართლემ დამატებით 7 დღის ვადა განუსაზღვრა. ხოლო 7 ოქტომბრის სხდომაზე აღნიშნულმა პროკურორმა თვითაცილების შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. პროკურორმა შუამდგომლობაში მიუთითა, რომ ბაჩო ახალაიას მეუღლის მსგავსად იყო დევნილი აფხაზეთიდან, მათ ჰყავდათ ერთი სანაცნობო წრე, რომლის მხრიდან ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა მასზე როგორც პირადად, ისე სოციალური ქსელების მეშვეობით. ასევე ის, რომ მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ კოლეგებთან - ბ.ახალაიას ადვოკატებთან (თუმცა, ადვოკატები არ ადასტურებენ მეგობრულ ურთიერთობას, აცხადებენ, რომ მხოლოდ ყოფილი კოლეგები იყვნენ და მათი ურთიერთობა სამსახურებრივს არ გასცდენია). თვითაცილების შესახებ

<sup>65</sup> პოლიციის ეთიკის კოდექსი, პირველი თავის მე-6 პუნქტი.

შუამდგომლობა მოსამართლემ დააკმაყოფილა. პროცესზე 8 ოქტომბერს ჩართულმა მორიგმა ახალმა პროკურორმა, კიდევ დამატებითი ვადა მოითხოვა საქმის მასალების გასაცნობად. მოსამართლემ 10-დღიანი ვადა მისცა ბრალდების მხარეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თვითაცილება უნდა იყოს დასაბუთებული. საქმეში ჩართულ პირველ პროკურორს არ დაუსაბუთებია, რომ საქმიდან მისი ჩამოცილების მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იყო. რაც შეეხება საქმეში ჩართულ მეორე პროკურორს, მისთვის წინასწარ ცნობილი იყო საქმეში მასთან მეგობრულად განწყობილი პირების ადვოკატად მონაწილეობის ფაქტი, ამის მიუხედავად მან თავიდანვე არ აიცილა საქმე. ასევე არადამაჯერებელია პროკურორის მტკიცება ბრალდებულის მეუღლესთან საერთო სანაცნობო წრის მიერ მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიური ზემოქმედების თაობაზე. უცნობია, როდის დაიწყო სანაცნობო წრემ პროკურორზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ამ საფუძვლით რატომ არ დააყენა თვითაცილების შუამდგომლობა 30 სექტემბერს, როდესაც მან მოუმზადებლობის გამო სხდომის გადადება სთხოვა სასამართლოს.

გარდა ამისა, საქმის გაჭიანურებით წარმოიშობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის რისკიც. კონვენცია იცავს ადამიანის უფლებას - სასამართლომ მისი საქმე განიხილოს გონივრულ ვადაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დადგენისას მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, საქმის გაჭიანურება ხომ არ არის გამონვეული სახელმწიფო ორგანოების ქმედებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელმა თავი უნდა შეიკავოს, ხოლო სასამართლომ არ უნდა დაუშვას პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურება (ბარონა პორტუგალიის წინააღმდეგ). გონივრული ვადების დაცვასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია, მაშინ როცა საქმის განხილვის გაჭიანურება ინვესტორების ბრალდებულის პატიმრობაში დატოვებას (სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ).

- კიდევ ერთ საქმეში ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ, ადვოკატმა მიმართა ერთ-ერთ მოწმეს მისი დაკითხვის დროს: „თქვენ მოხვედით ჩემთან ოფისში და მითხარით, რომ თქვენ და თქვენს მეუღლეს „პიკაპით“ ვითვალთვალებდნენ, როდესაც სახლში მიდიოდით. შემდეგ მოვიდნენ „ლენდკრუიზერით“, წაგიყვანეს ტყეში, გადაგიგდეს ტელეფონი, ვითხრეს – ახლა ვაგახსენებთ იმას, რაც უნდა გახსოვდეთ! შემდეგ ტყეში დაგტოვეს და წამოვიდნენ. ასე იყო თუ არა?“ მოწმემ უპასუხა: „დიახ, ვადასტურებ, რომ ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა.“ ამის შემდეგ პროკურორმა მიმართა მოსამართლეს: „ბატონო მოსამართლე, მე მოწმის ამ ჩვენებაში ვერ დავინახე დანაშაულის ნიშნები, რადგან მოწმემ ვერ დაასახელა ის პირები, ვინც გაიტაცა.“

საიას შეფასებით, პროკურორის განცხადება ეწინააღმდეგებოდა საპროცესო კანონს, რომლის თანახმადაც, განცხადება, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, გამოძიების დაწყების საფუძველია.<sup>66</sup>

- კიდევ ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა აღნიშნა: „ის კომპიუტერი, რომლის მოპარვასაც მაპრალეზებენ, მათხოვეს, ჩემმა მეგობარმა მათხოვა, რომლის დედასაც ეგონა, რომ მოიპარეს და დარეკა პოლიციაში. ხოლო მერე ჩემს მეგობარს დაემუქრნენ გამოძიებლები, ჩვენება დაეწერა ისე, თითქოს მე მოვიპარე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე მომაცოლებდნენ უკან [დაიჭერდნენ].“ აღნიშნულზე არც პროკურორს და არც სასამართლოს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურორის ვალდებულებაა, ასეთ შემთხვევებში დაინტერესდეს და დაიწყოს სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველი შემთხვევის გამოძიება.<sup>67</sup> სასამართლოს კი, სამწუხაროდ, ამის მოთხოვნის პირდაპირი უფლება, არსებული კანონმდებლობით, არ აქვს, თუმცა, ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მას შეუძლია გასცდეს თავის ვალდებულებებს და მოუწოდოს პროკურორს, გამოიძიოს მსგავსი შემთხვევები.

<sup>66</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესოკოდექსი, მუხლი 100.

<sup>67</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესოკოდექსი, მუხლი 100.

## **დ. სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა**

საიას მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა პრობლემები სასამართლო განხილვის დროულად დაწყებასთან მიმართებით. მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში, 451 მოსმენიდან 169, რომელიც არ მოიცავდა პირველი წარდგენის სხდომებს (37.5%), დაიწყო ხუთი წუთზე მეტი დაგვიანებით:

- 70 შემთხვევაში (41%) მოსამართლემ დააგვიანა;
- 24 შემთხვევაში (14%) იმავე სასამართლო დარბაზში სხვა მოსმენა გრძელდებოდა;
- 21 შემთხვევაში (13%) ადვოკატმა დააგვიანა;
- 19 შემთხვევაში (11%) ბრალდებულმა დააგვიანა;
- 16 შემთხვევაში (10%) პროკურორმა დააგვიანა;
- დარჩენილ 19 შემთხვევაში (11%) სხვადასხვა მიზეზი იქნა მოყვანილი.

აღსანიშნავია სასამართლო სხდომათა არაორგანიზებული მუშაობის ერთი მაგალითი:

ერთ-ერთი საქმის განხილვას, რომელშიც არაერთი პირი იყო ბრალდებული, ყოველ სხდომაზე უამრავი პირი ესწრებოდა. მოსამართლემ ერთსა და იმავე დროს ორი პროცესი ჩანიშნა და, შესაბამისად, მოცემული პროცესი დაიწყო 75 წუთის დაგვიანებით. მოსამართლის მიერ საქმეთა განხილვის არაორგანიზებულად დაგეგმვამ სასამართლოს შენობაში ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი ქაოსი და ხმაური გამოიწვია (დერეფნის მთელი ტერიტორია დაკავებული ჰქონდათ დამსწრეებს და სხდომის დაწყებას ელოდებოდნენ).

## დასკვნა

- მონიტორინგის მიმდინარე პერიოდში გაგრძელდა ცალკეული მიმართულებებით სასამართლოს მიდგომების გაუმჯობესების ტენდენცია როგორც გახმაურებულ, ისე ტიპიურ შემთხვევებში. მართალია, პროცენტულად გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, ვისაც პატიმრობა შეეფარდა, თუმცა, ამის მიუხედავად, მნიშვნელოვნად შემცირდა დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებები.
- გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეების თვალსაზრისით, სურათი თითქმის უცვლელი დარჩა – გირაო და პატიმრობა, გარდა იშვიათი შემთხვევებისა. იყო მხოლოდ სამი გამონაკლისი: 1 პირადი თავდებობა, 1 შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, 1 შემთხვევაში კი, ბრალდებული სასამართლომ დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. ამ სამი შემთხვევიდან არც ერთი არ იყო გახმაურებული საქმე.
- პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, მეტწილად გირაოს ნაწილში, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება. პოზიტიურ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასამართლო ხშირად თავად ცდილობს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის გამორკვევას. სასამართლო, ჩვეულებრივ, ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებები უფრო დასაბუთებული გახდა.
- მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით) პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.
- ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრება კვლავ პრობლემად რჩება. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, საიას მონიტორებს მოუხდათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია იმისათვის, რომ დასწრებოდნენ ამ სხდომებს. სამწუხაროდ, მოქალაქეებს შეზღუდული ჰქონდათ ამ სხდომებზე დასწრების

უფლება, მიუხედავად იმისა, რომ სხდომები მოსამართლის გადაწყვეტილებით ოფიციალურად დახურულად არ ყოფილა გამოცხადებული.

- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, სასამართლოებმა ვერ შეძლეს, წინასწარ გამოექვეყნებინათ ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.
- პირველი წარდგენის სხდომების გარდა, სასამართლომ დაწარჩენი სხდომების თითქმის ერთ მეოთხედში ვერ უზრუნველყო ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, წინასასამართლო სხდომები ძირითადად ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. სასამართლოები, როგორც წესი, ეთანხმებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობას მტკიცებულებების წარდგენის შესახებ. დაცვა, ძირითადად, თავს იკავებდა როგორც საკუთარი მტკიცებულების წარდგენის, ისე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნისაგან. დაცვა მეტად აქტიური იყო გახმაურებულ საქმეებში.
- რაც შეეხება ჩხრეკასა და ამოღებას, კვლავ არსებობს მიზეზი, რომ ეჭვი შევიტანოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების შესრულებაში, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ ისეთი ჩხრეკა და ამოღება, სადაც სათანადოდ არ იქნება არგუმენტირებული გადაუდებელი აუცილებლობა.
- საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესი უცვლელი დარჩა. სასამართლო რჩებოდა მხოლოდ პასიურ როლში და ავტომატურად ამტკიცებდა პრაქტიკულად ყველა საპროცესო შეთანხმებას. თუმცა, კიდევ უფრო შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჯარიმას აკისრებდა. შემცირდა ჯარიმის საშუალო ოდენობაც.
- რაც შეეხება ბრალდებულის კონკრეტულ უფლებებს, შესამჩნევი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. თუმცა, მოსამართლეები გაცილებით უკეთ ახერხებდნენ ბრალდებულთა ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და იმის გამორკვევისას, იყო



თუ არა საპროცესო შეთანხმებები არასათანადო მოპყრობის შედეგი.

- სასამართლო პროცესების დროულად დანყება კვლავ პრობლემად რჩება. პროცესზე ხშირად მოსამართლეები აგვიანებენ.

## **რეკომენდაციები**

ყველა წინა საანგარიშო პერიოდისა და უკანასკნელი დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევაში და საერთოდ უარი უნდა თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურატურა ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. სასამართლოებმა ასევე უნდა მოითხოვონ პროკურატურისაგან აღკვეთის ღონისძიების უფრო მეტი დასაბუთება და პროკურატურას დააკისრონ მტკიცების ტვირთი, განსაკუთრებით, გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში.
2. ისეთ ბრალდებულებს, რომელთაც ადვოკატი არ ჰყავთ, მოსამართლეებმა სრულყოფილად უნდა განუმარტონ ყველა აღკვეთის ღონისძიების სახე და მათი გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, მოსამართლეები უფრო აქტიურად უნდა შეეცადნენ, საკუთარი ინიციატივით გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა გირაოსა და პატიმრობაზე უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.
3. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ასეთი პასიურები: ისინი არ იყენებენ უფლებას, უარი თქვან საპროცესო შეთანხმებაზე, ან არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას სასჯელის შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით. მოსამართლეებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა არ არსებობდეს ეჭვი სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით.

4. მონმეთა დაკითხვისას მოსამართლემ უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესი და მხოლოდ მხარეთა ნებართვის შემდეგ უნდა დაუსვას მონმეებს შეკითხვები.
5. სასამართლომ უნდა ჩამოაყალიბოს ერთგვაროვანი პრაქტიკა გამოძიების ეტაპზე მონმის მიერ მიცემული ჩვენების სასამართლოზე გამოქვეყნებასა და, აგრეთვე, მხარის მიერ გაპროტესტებული კითხვის დაშვებასთან მიმართებით. სასამართლომ, ასევე, უნდა გამორიცხოს არაერთგვაროვანი მიდგომა ცალკეულ ბრალდებულებთან დაკავშირებით.
6. აუცილებელია, რომ ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე აქტიურად და დამაჯერებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას.
7. მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ყველა თანაზომიერი ღონისძიება, რათა უზრუნველყონ სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა და მხარეებს ხელი არ შეეშალოთ თავიანთი პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენაში.
8. აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა სრულყოფილად და გასაგებად განუმარტონ ბრალდებულს მათი ყველა უფლება.
9. კანონი უნდა შეიცვალოს, რათა გაფართოვდეს მოსამართლის უფლებამოსილება ბრალდებულთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან, პროკურორებმა, ყველა ასეთი შემთხვევის დაფიქსირების დროს უნდა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.
10. უნდა დაიხვეწოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებიც მონმის დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს ეხება: გაფართოვდეს მისი გამოყენების საფუძვლები; პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მინიჭებული უფლებამოსილება – განახორციელონ აღნიშნული ღონისძიება – გადაეცეს სხვა ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება ავტონომიურად გამიჯნული საგამოძიებო ფუნქციისგან.
11. საპროცესო კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც ბრალდებულს მისცემს საშუალებას, მოითხოვოს თავისი საქმის ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილვა, იმ შემთხვევაშიც, თუკი წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ

მას, კანონის საწინააღმდეგოდ, არ განუმარტა ეს უფლება და ისე გადასცა საქმე არსებითად განსახილველად.

12. სასამართლოები და სამართალდამცავი ორგანოები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნენ ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ აღნიშნული ღონისძიება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, მოსამართლემ კი, მხოლოდ საფუძვლიანი შემონ-მების შემდეგ უნდა დააკანონოს ასეთი გზით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიება.
13. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სხდომის შესახებ სრულყოფილი და მართებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება, აგრეთვე – საზოგადოების თავისუფალი დასწრება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე, რომლებიც მოსამართლის გადაწყვეტილებით დახურულად არ არის გამოცხადებული. ამასთან, მოსამართლემ გონივრულად უნდა გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხდომის დახურვის უფლება, როდესაც ეს აუცილებელია მხარის ინტერესების დასაცავად.
14. სასამართლომ ყველა შესაბამის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის ყოლის უფლებით სრულყოფილად სარგებლობა, კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურებით.

## დანართები

### თბილისის საქალაქო სასამართლო

სასამართლოში პირველი წარდგენა — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 64

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	64	
კი	0	0%
არა	64	100%
ვინმემ განაცხადა, რომ ნათელი ან გასაგები არ იყო მოსამართლის საუბარი? (მხოლოდ 3 შემთხვევაში იყო მოსამართლის საუბარი გაუგებარი)	3	
კი	1	33%
არა	2	67%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	64	
კი	63	98%
არა	1	2%
მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა?	64	
კი	44	69%
არა	20	31%
ბრალდებულისთვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო?	64	
კი	55	86%
არა	9	14%
საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)	64	

კი	1	2%
არა	0	0%
თარჯიმნის მონვევა არ იყო საჭირო	63	98%
<b>შერჩეული აღკვეთის ღონისძიება (დასწრებულ სხდომებზე სასამართლომ მთლიანობაში 73 ბრალდებულის მიმართ იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით)</b>	73	
გირაო	42	58%
პატიმრობა	28	39%
პირადი თავდებობა	1	1%
სათანადო ქცევის და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმება	1	1%
სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	0	0%
აღკვეთის ღონისძიების გარეშე გათავისუფლდა	1	1%
<b>მოსამართლემ აცნობა ბრალდებულს არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის უფლების თაობაზე?</b>	64	
კი	56	87.5%
არა	8	12.5%
<b>მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა მას რაიმე საჩივარი უფლებათა დარღვევის შესახებ?</b>	64	
კი	53	83%
არა	11	17%

წინასასამართლო სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 50

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	<b>50</b>	
კი	24	48%
არა	26	92%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?</b>	<b>50</b>	
კი	47	94%
არა	3	6%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა?</b>	<b>50</b>	
კი	21	42%
არა	16	32%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	13	26%
<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო?</b>	<b>50</b>	
კი	26	52%
არა	11	22%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	13	26%
<b>პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ? (15 სხდომა გადაიდო)</b>	<b>35</b>	
კი	35	100%
არა	0	0%
<b>შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?</b>		
კი	31	89%
არა	1	3%
სხდომა გადაიდო	3	8%

<b>დაცვამ დაუჭირა მხარი?</b>		
კი	27	77%
არა	8	23%
<b>ჩხრეკისა და ამოღების შემთხვევებში</b>	21	
ლონისძიება ჩატარდა სასამართლოს ნებართვით	2	10%
ჩატარებულის დაკანონება მოგვიანებით მოხდა სასამართლოს მიერ	19	90%
<b>დაცვამ წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ? (16 სხდომა გადაიდო)</b>	34	
კი	15	44%
არა	19	56%
<b>შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?</b>		
კი	12	80%
არა	0	0%
სხდომა გადაიდო	3	20%
<b>ბრალდებამ დაუჭირა მხარი?</b>		
კი	11	73%
არა	3	20%
სხდომა გადაიდო	1	7%
<b>დაკმაყოფილდა პროკურორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?</b>	35	
სრულად	30	86%
ნაწილობრივ	1	3%
არ დაკმაყოფილდა	1	3%
სხდომა გადაიდო	3	8%
<b>დაკმაყოფილდა დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?</b>	15	
სრულად	12	80%

ნანილობრივ	0	0%
არ დაკმაყოფილდა	0	0%
სხდომა გადაიღო	3	20%

არსებითი განხილვის სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 150

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	<b>150</b>	
კი	114	76%
არა	36	24%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება? (1 სხდომა დაიხურა)</b>	<b>149</b>	
კი	138	93%
არა	11	7%
<b>საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული იყო თარჯიმანი? (1 სხდომა დაიხურა) (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	<b>149</b>	
კი	2	1.3%
არა	1	0.7%
<b>თარჯიმნის მოწვევა არ იყო აუცილებელი</b>	<b>146</b>	<b>98%</b>
<b>გადანყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 5 შემთხვევაში)</b>	<b>5</b>	
კი	5	100%
არა	0	0%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 18 შემთხვევაში)</b>	<b>18</b>	



კი	10	55.5%
არა	6	33.5%
სხდომა გადაიდო	1	5.5%
ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას	1	5.5%
<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 18 შემთხვევაში)</b>	<b>18</b>	
კი	14	78%
არა	2	11%
სხდომა გადაიდო	1	5.5%
ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას	1	5.5%
<b>მონმეები იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში დაკითხვამდე? (ბრალდებულთა გამოკლებით, რომლებიც ესწრებიან სხდომას)</b>	<b>59</b>	
კი	2	3%
არა	57	97%
<b>მოსამართლემ დაუსვა კითხვები მონმეებს რომელიმე მხარის სახელით? (ბრალდებულთა და ექსპერტთა ჩათვლით; ეს ციფრი აღნიშნავს იმ სხდომათა რაოდენობას, რომლებზეც დაიკითხნენ მონმეები და არა მონმეთა საერთო რაოდენობას)</b>	<b>59</b>	
კი	6	10%
არა	53	90%
<b>რომელი მხარის სახელით?</b>		
ბრალდების სახელით	1	17%
დაცვის სახელით	0	0%
ორივეს სახელით	5	83%

საპროცესო შეთანხმებები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 51

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	51	
კი	21	41%
არა	30	59%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?</b>	51	
კი	51	100%
არა	0	0%
<b>საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	51	
კი	2	4%
არა	0	0%
თარჯიმნის მოწვევა არ იყო აუცილებელი	49	96%
<b>მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას?</b>	51	
კი	43	84%
არა	8	16%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა? (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 31 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)</b>	31	
კი	15	48%
არა	16	52%

<b>ბრალდებულისათვის უფლებების განმარტება ნათელი და გასაგები იყო? (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 31 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)</b>	31	
კი	23	74%
არა	8	26%

### **ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

სასამართლოში პირველი წარდგენა — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 23

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	23	
კი	0	0%
არა	23	100%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?</b>	23	
კი	22	96%
არა (პატარა დარბაზში ჩატარდა)	1	4%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა?</b>	23	
კი	12	52%
არა	10	44%
სხდომას ბრალდებული არ ესწრებოდა	1	4%
<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო?</b>	23	
კი	18	78%
არა	4	18%
სხდომას ბრალდებული არ ესწრებოდა	1	4%

<b>საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	23	
კი	0	0%
არა	0	0%
თარჯიმნის მოწვევა არ იყო საჭირო	23	100%
<b>შერჩეული აღკვეთის ღონისძიება (დასწრებულ სხდომებზე სასამართლომ მთლიანობაში 33 ბრალდებულს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება)</b>	33	
გირაო	16	48%
პატიმრობა	17	52%
პირადი თავდებობა	0	0%
სათანადო ქცევის და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმება	0	0%
სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	0	0%
<b>მოსამართლემ აცნობა ბრალდებულს არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის უფლების თაობაზე?</b>	23	
კი	21	92%
არა	1	4%
ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას	1	4%
<b>მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა მას რაიმე საჩივარი უფლებათა დარღვევის შესახებ?</b>	23	
კი	19	83%
არა	3	13%
ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას	1	4%

წინასასამართლო სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 33

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	<b>33</b>	
კი	32	<b>97%</b>
არა	1	<b>3%</b>
<b>ყველასთვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?</b>	<b>33</b>	
კი	29	<b>88%</b>
არა (1 სხდომა დაიხურა)	4	<b>12%</b>
<b>საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	<b>33</b>	
კი	1	<b>3%</b>
არა	0	<b>0%</b>
თარჯიმნის მოწვევა არ იყო საჭირო	32	<b>97%</b>
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა?</b>	<b>33</b>	
კი	5	<b>15%</b>
არა	24	<b>73%</b>
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	4	<b>12%</b>
<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო?</b>	<b>33</b>	
კი	8	<b>24%</b>
არა	21	<b>64%</b>
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	4	<b>12%</b>

<b>პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ? (5 სხდომა გადაიდო)</b>	28	
კი	28	100%
არა	0	0%
<b>შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?</b>		
კი	28	100%
არა	0	0%
<b>დაცვამ დაუჭირა მხარი?</b>		
კი	25	89%
არა	3	11%
<b>ჩხრეკისა და ამოღების შემთხვევებში</b>	17	
ლონისძიება ჩატარდა სასამართლოს ნებართვით	0	0%
ჩატარებულის დაკანონება მოგვიანებით მოხდა სასამართლოს მიერ	17	100%
<b>დაცვამ წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ? (5 სხდომა გადაიდო)</b>	28	
კი	8	29%
არა	20	71%
<b>შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?</b>		
კი	8	100%
არა	0	0%
<b>ბრალდებამ დაუჭირა მხარი?</b>		
კი	5	62.5%
არა	3	37.5%
<b>დაკმაყოფილდა პროკურორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?</b>	28	
სრულად	27	96%

ნანილობრივ	1	4%
არ დაკმაყოფილდა	0	0%
<b>დაკმაყოფილდა დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?</b>	<b>8</b>	<b>100%</b>
სრულად	8	100%
ნანილობრივ	0	0%
არ დაკმაყოფილდა	0	0%

არსებითი განხილვის სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 121

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	121	
კი	121	100%
არა	0	0%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება? (1 სხდომა დახურული იყო)</b>	120	
კი	119	99%
არა	1	1%
<b>საჭიროების შემთხვევაში, მონვეული იყო თარჯიმანი? (1 სხდომა დაიხურა) თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	120	100%
კი	0	0%
არა	0	0%
თარჯიმნის მონვევა არ იყო აუცილებელი	120	100%
<b>გადანყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 13 შემთხვევაში)</b>	13	
კი	13	100%

არა	0	0%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმართა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 15 შემთხვევაში)</b>	15	
კი	5	33.5%
არა	5	33.5%
სხდომა გადაიდო	3	20%
ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას	2	13%
<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 15 შემთხვევაში)</b>	15	
კი	8	54%
არა	2	13%
სხდომა გადაიდო	3	20%
ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას	2	13%
<b>მონმეები იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში და კითხვამდე? (ბრალდებულთა გამოკლებით, რომლებიც ესწრებიან სხდომას)</b>	53	
კი	1	1%
არა	52	99%
<b>მოსამართლემ დაუსვა კითხვები მონმეებს რომელიმე მხარის სახელით? (ბრალდებულთა და ექსპერტთა ჩათვლით; ეს ციფრი აღნიშნავს იმ სხდომათა რაოდენობას, რომლებზეც დაიკითხნენ მონმეები და არა მონმეთა საერთო რაოდენობას)</b>	53	
კი	12	23%
არა	41	77%
<b>რომელი მხარის სახელით?</b>		
ბრალდების სახელით	1	8%
დაცვის სახელით	1	8%



ორივეს სახელით	10	84%
<b>რაიმე ინსტრუქცია მისცა მოსამართლემ რომელიმე მხარეს? (1 სხდომა დაიხურა)</b>	120	
კი	19	16%
არა	101	84%
<b>რომელ მხარეს?</b>		
ბრალდებას	5	26%
დაცვას	13	69%
ორივეს	1	5%

საპროცესო შეთანხმებები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 17

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	17	
კი	14	82%
არა	3	18%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?</b>	17	
კი	17	100%
არა	0	0%
<b>საჭიროების შემთხვევაში, მონვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	17	
კი	1	6%
არა	0	0%
<b>თარჯიმნის მონვევა არ იყო აუცილებელი</b>	16	94%

მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას?	17	
კი	15	88%
არა	2	12%
მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა? (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 11 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)	11	
კი	8	73%
არა	3	27%
ბრალდებულისათვის უფლებების განმარტება ნათელი და გასაგები იყო? (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 11 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)	11	
კი	9	82%
არა	2	18%
რაიმე ინსტრუქცია მისცა მოსამართლემ რომელიმე მხარეს?	17	
კი	1	6%
არა	16	94%
რომელ მხარეს?		
დაცვას	1	100%
ბრალდებას	0	0%

**თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები**

არსებითი განხილვის სხდომები სააპელაციო სასამართლოებში —  
დასწრებული სხდომების რაოდენობა: 11

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	11	
კი	11	100%
არა	0	0%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?</b>	11	
კი	11	100%
არა	0	0%
<b>საჭიროების შემთხვევაში, მონვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)</b>	11	100%
კი	0	0%
არა	0	0%
<b>თარჯიმნის მონვევა არ იყო აუცილებელი</b>	11	100%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 1 შემთხვევაში)</b>	1	
კი	0	0%
არა	1	100%
<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 1 შემთხვევაში)</b>	1	
კი	1	100%
არა	0	0%
<b>რას ეფუძნებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება?</b>	11	

განაჩენის კანონიერებას	3	27%
განაჩენის დასაბუთებულობას	8	73%

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 6

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	6	
კი	3	50%
არა	3	50%
ყველასთვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	6	
კი	0	0%
არა	100	100%
მოსამართლემ მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტა კანონი, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის განხილვისას?	6	
კი	5	83%
არა	1	17%
რომელიმე მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის მიცემული ინსტრუქციის შეცვლის ან დამატების შესახებ ?	6	
კი	0	0%
არა	6	100%
მსაჯულობის კანდიდატმა რაიმე იკითხა ან რაიმე შენიშვნა გააკეთა?	6	
კი	2	33%
არა	4	67%
ბრალდების მხარემ დაუსვა კითხვები მსაჯულობის კანდიდატს? (1 სხდომა იყო საბოლოო შერჩევის სხდომა, სადაც მხოლოდ შერჩეულ კანდიდატთა სახელები უნდა გამოცხადებულიყო)	5	

კი	5	100%
არა	0	0%
<b>დაცვის მხარემ დაუსვა კითხვები მსაჯულობის კანდიდატს? (1 სხდომა იყო საბოლოო შერჩევის სხდომა, სადაც მხოლოდ შერჩეულ კანდიდატთა სახელები უნდა გამოცხადებულიყო)</b>	5	
კი	5	100%
არა	0	0%
<b>რომელიმე მხარემ წარმოადგინა დამატებითი მასალები მსაჯულობის კანდიდატის აცილებასთან დაკავშირებით?</b>	6	
კი	0	0%
არა	6	100%

**თბილისის საქალაქო სასამართლო**

სხდომები ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 11

<b>საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?</b>	11	
კი	10	91%
არა	1	9%
<b>ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება ?</b>	11	
კი	11	100%
არა	0	0%
<b>მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 2 შემთხვევაში)</b>	2	
კი	2	100%
არა	0	0%

<b>ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 2 შემთხვევაში)</b>	2	
კი	2	100%
არა	0	0%
<b>დადეს ფიცი ნაფიცმა მსაჯულებმა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 6 სხდომაზე)</b>	6	
კი	6	100%
არა	0	0%
<b>მოსამართლემ გააფრთხილა ნაფიცი მსაჯულები მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 6 სხდომაზე)</b>	6	
კი	4	67%
არა	0	0%
<b>მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება</b>	2	33%
<b>მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში გასვლამდე მისცა შესაბამისი მითითებები? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 2 სხდომაზე)</b>	2	
კი	2	100%
არა	0	0%
ნაწილობრივ	0	0%
<b>რომელიმე მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემულ განმარტებებში ცვლილებების/ დაშატებების შეტანის შესახებ? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 3 შემთხვევაში)</b>	3	
კი	1	33%
არა	2	67%
<b>რომელმა მხარემ?</b>		
დაცვამ	1	

ბრალდება	0	
მოსამართლემ რაიმე ფორმით ხომ არ გამოხატა თავისი პირადი დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა გადასაწყვეტ საკითხებზე?	11	
კი	0	0%
არა	11	100%
პროცესი იმგვარად წარიმართა, რომ ნაფიც მსაჯულებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დაენახათ, გაეგონათ და გაეგოთ ყველაფერი, რაც სხდომის დარბაზში ხდებოდა?	11	
კი	11	100%
არა	0	0%
რომელიმე მსაჯულმა წუხილი ხომ არ გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის ყველაფერი, ან პროცესის რალაც ნაწილი გაუგებარი იყო?	11	
კი	0	0%
არა	11	100%
ვერდიქტის გამოტანის შემდეგ მოსამართლემ ან მხარეებმა ხომ არ გამოხატეს თავისი მოსაზრება მის სამართლიანობასთან დაკავშირებით? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 1 სხდომაზე)	1	
კი	0	0%
არა	1	100%